# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 მარტი, 2011 წელი.

№40 (6652)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ოკუპირებული ტერიტორიები არ აღიარა ⑦

## სამინისტროები, სადაც ყველა საჯარო ინფორმაცია აბსოლუტურად გასაიდუმლოებულია ②






## ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩვენი არალეგალი მოქალაქეების დეპორტაცია ეკონომიკურ სირთულეებს შექმნის ④

## „აბსურდის თეატრის“ თეთრქალაქისეული ⑤ დაუმთავრებელი სპექტაკლი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2010 წლის 1 სექტემბრის ნომერში ამავე სათაურით გამოქვეყნებული ღია წერილის გაგრძელება



## რა გვიშლის ხელს ბიზნესის დასაწყებად და რა გვეხმარება ⑦ მის დახურვაში?

## ილიკო, ილარიონი და „მარშრუტკების“ გაფიცვა ②



## ეძღვნება „სამშობლოს მოღალატეებს“... ⑨






## აჭარის მოსახლეობის ხვალინდელ დღეს საბედისწერო სასწორზე ③ ნუ შეაგდებთ!

ღია წერილი ბატონ მიხეილ სააკაშვილს

## „სომხეთი ჯავახეთში კონფლიქტის ⑦ გაჩაღებას ცდილობს“

## გაუმარჯოს დემონ-სტრაციას! ⑨



№ 40. ოთხშაბათი, 2 მარტი, 2011 წელი.

◎ ოპოზიცია

**„ავტოკრატ ხელისუფალთ პრობლემები ექნებათ. რევოლუციები მხოლოდ ისლამური ქვეყნებით არ შემოიფარგლება და მას შედარებით იოლად გადაიტანენ ავტოკრატი მონარქები, ვიდრე სხვები“, — განაცხადა ეროვნული ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ კონფერენციაზე.**

# რატომ დაეცა გუბაზ სანიკიძის ფასი?

## „სააკაშვილის მომხრეები, შემთხვევით კადაფის მხარეს ხომ არა ხართ?!“



„საქართველოს ამ ქვეყნებთან უამრავი მსგავსება აქვს, მაგრამ არის სხვაობებიც: „იქ წარმმართველი ძალა ახალგაზრდობაა, ჩვენთან კი — ინერტულია“, — ამბობს სანიკიძე. ის მიიჩნევს, რომ სოციალური მღელვარებისთვის საქართველოში ნოყიერი ნიადაგია, მით უფრო, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს მძიმე ვითარების განსამუხტავად, თუმცა ამ ყველაფერს სჭირდება მართებული დაგეგმვა და დრო.

გუბაზ სანიკიძე ოპოზიციის კონსოლიდაციას ემხრობა და ამასთანავე მხარს უჭერს საზოგადოების ნდობის აღდგენას პოლიტიკური პარტიების მიმართ, თუმცა ამის ერთ-ერთ შემაფერხებელ ძალად პოლიტიკის პერსონიფიცირებას მიიჩნევს. „პიროვნული წყენა და ამბიციები უკან უნდა გადავდოთ, სააკაშვილის შეცვლა — ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა, ხოლო პოლიტიკაში ყველაფერი შესაძლებელია“.

გუბაზ სანიკიძეს არაერთხელ განუცხადებია, რომ პოლიტიკური პროცესების წარმმართველი ძალა „ეროვნული ფორუმი“ უნდა იყოს, რაც სულაც არ ჰგონია ამპარტავნობა. „ჩვენ საკუთარ თავს ვთავაზობთ საზოგადოებას და ამაში არაფერია მიუღებელი. ეს პოლიტიკის წესია, ყველას გვაქვს პრეტენზია, ვიყოთ წამყვანი ძალა“, — განაცხადა მან.

არჩევნების შემდეგ სასურველია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის კოალიცია შედგეს, რათა მმართველმა ძალებმა ერთმანეთი აკონტროლონ, აცხადებს სანიკიძე.

ჟურნალისტებმა ეროვნული ფორუმის ლიდერს მასსა და ვალერი გელბახიანს შორის გამართულ საგაზეთო პოლემიკაზეც სთხოვეს კომენტარი: „როცა გელბახიანმა თქვა, ოპოზიცია პატარკაციშვილისგან ფულს იღებდაო, ყველაში მეც ვიგულისხმებოდი. ამის გამო მქონდა მისდამი პრეტენზია. ბოლოს მან უარყო ფორუმისგან პატარკაციშვილის ფულის აღების ფაქტი. ჩემი აზრით, მას დეზინფორმაციას აწვდიან. ალბათ, ჩამოვა საქართველოში, ჩვენ დავსხდებით და ყველაფერს გავარკვევთ. რაც შეეხება პატარკაციშვილის პრესცენტრის უფროსის ელისო კილაძის ბრალდებებს, მასზე კომენტარს არ გავაკეთებ იმიტომ, რომ ეს აბსურდია“.

გუბაზ სანიკიძეს „გული სწყდება“, რომ რატომღაც მისი ფასი დაეცა: „ორი წლის წინათ გავრცელებული ჭორებით მე და კახა შარტავამ რომ დავითვალეთ, 220 მილიონი გვქონდა აღებული. ახლა სულ რაღაც 30-50 ათასის აღებას გვაბრალებენ. როგორც ჩანს, ჩემი ფასი თანდათან ეცემა“, — განაცხადა მან ხუმრობით.

რისთვის ემზადება ოპოზიცია? — ეს იყო მთავარი კითხვა, რაზეც სანიკიძის პასუხი ყველაზე მეტად აინტერესებდა მედიას. როგორც ჩანს, ფორუმი აქტიურ კონსულტაციებს მართავს რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან. „ვსაუბრობთ აქციებზე, „რვიანის ფორმატზე“, საარჩევნო გარემოზე, ამბოხებაზე, რევოლუციაზე... თუმცა უპირველესი განსახილველი თემა ჩვენთვის, „რვიანის ფორმატია“.

ხელისუფლებამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ბიომეტრიული პასპორტების შემოღებას არ ეთანხმება, რაც საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ოპოზიციისთვის. ხელისუფლებას დრო 9 მარტამდე აქვს: „ჩვენ სამომავლო საქმიანობას განსაზღვრავს უმრავლესობის პასუხი. საარჩევნო გარემოს შეცვლაზე უარის თქმა ნიშნავს, არჩევნების გზით წასვლაზე სააკაშვილის უარს. თუ ამ გზით არ წავალთ, რევოლუცია გარდაუვალია“, — ამბობს სანიკიძე.

„ობამამ გააფრთხილა ავტოკრატები, რომ აშშ მხარს ხალხს დაუჭერს. სააკაშვილის მომხრეებო, შემთხვევით კადაფის მხარეზე ხომ არა ხართ?! თუ ასეა, ცუდადაა თქვენი საქმე, — აფრთხილებს ოპონენტებს ოპოზიციონერი, — სახალხო აჯანყების სამივე ვარიანტი ხელისუფლების დამარცხებით დამთავრდა: ტუნისური ვარიანტი — ანუ სწრაფი რევოლუცია, ეგვიპტური — ანუ დროში გაწელილი და სისხლიანი რევოლუცია — ის, რაც ლიბიაში ხდება. სავარაუდოდ, კადაფი სიცოცხლით აგებს პასუხს. არც ერთი ვარიანტი სათქვენო არ არის, ნაციონალებო“.

**ფორუმის ლიდერი ამბობს, რომ სულაც არ სურს რევოლუციის გზით მოვლენების განვითარება, მაგრამ ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის: „უსმენთ სააკაშვილს, რა განცხადებებს აკეთებს? ეს კაცი, მგონი, საერთოდ არ არის ამ ქვეყანაზე. ისე არ აღმოჩნდეს, მიშა, რომ ვანომ დაგადოს „ბრასლეტები“ ბოლოს და ბოლოს!“ — აფრთხილებს პრეზიდენტს სანიკიძე.**

**ნია ფიფია**

◎ ელიტური კორუფცია ხელის გულზე

# სამინისტროები, სადაც ყველა საჯარო ინფორმაცია აბსოლუტურად გასაიდუმლოებულია

## რისი ეშინიათ შაშკინის, სუბელიანისა და ახალაიას უწყებებს?

**აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას ერთ-ერთი პირველი ინიციატივა ფორმილირებულია მის მიერვე გამოცხადებულ „გამჭვირვალე და ღია მთავრობის“ მემორანდუმში: „ჩემი ადმინისტრაცია მოწოდებულია, შექმნას მთავრობის გამჭვირვალობის უპრეცედენტო დონე. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ საზოგადოების ნდობა, დავამკვიდროთ გამჭვირვალობის სისტემა, საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობა. ღიაობა გააძლიერებს ჩვენს დემოკრატიას. უფრო ეფექტიანს და ქმედითს გახდის მთავრობას“. ამ მხრივ მართლაც, მრავალი საინტერესო ინიციატივა განხორციელდა. მაგალითად, პირველად გამოქვეყნდა თეთრი სახლის ყველა ვიზიტორის (სტუმრის) სია. ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საშუალებით ამერიკელებს საშუალება აქვთ ნახონ, თუ ვის მოსაზრებებს უსმენს თეთრი სახლის ადმინისტრაცია პოლიტიკის ფორმირებისა და დაგეგმვის პროცესში. პირველად გამოქვეყნდა ონლაინ ფორმატში საჯარო ინფორმაცია ადმინისტრაციის თანამშრომელთა ფინანსური ანაზღაურების შესახებ. შეიქმნა ონლაინ რესურსი, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს დეტალურად გაეცნოს „ამერიკის ეკონომიკური გაჯანსაღებისა და რეინვესტიციის აქტის“ თანახმად სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროექტებსა და ფინანსურ ანგარიშებს. და რაც ყველაზე საინტერესოა, ამერიკის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ფუნქციონირებს მრავალი ინოვაციური ვებ-რესურსი, სადაც როგორც სპეციალისტებს და საჯარო მოხელეებს, ისე ჩვეულებრივ მოქალაქეებს, საშუალება აქვთ საკუთარი მოსაზრებები და იდეები მიაწვდინონ სახელმწიფო ორგანოებს. ამ მიმართულებით იდეათა კონკურსებიც კი ტარდება...**

ამერიკის შეერთებული შტატების ვრცელი მაგალითის მოყვანა იმისთვის დაგვჭირდა, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ შედარება გავაკეთოთ საქართველოსთან.

გუშინ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისში საინტერესო პრეზენტაცია გამართეს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ და ყველასათვის კარგად ცნობილი ვებ-პორტალის OPENDATA.GE-ს ავტორებმა და საქართველოში „ელექტრონული გამჭვირვალობის შესახებ“ რამდენიმე კვლევა და წიგნი წარმოადგინეს.

ზოგადად, ელექტრონული დემოკრატია საკმაოდ ახალი ტერმინია, რადგანაც მისი ინსტიტუციური დამკვიდრება მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. მისი ამოცანაა, მოქალაქეებს გაუადვილოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში თანამონაწილეობის საშუალება. ის უფრო აახლოვებს მოსახლეობას ხელისუფლებასთან და ზრდის მთავრობის ლეგიტიმურობის ხარისხს. 2008 წელს დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ამ თვალსაზრისით ბევრი რამ შეცვალა, რადგან სახელმწიფო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხი დაეცა. წამყვანი დემოკრატიული ქვეყნები დარწმუნდნენ ელექტრონული გამჭვირვალობის აუცილებლობაში და ამის ყველაზე გამჭვირვალე მაგალითი აშშ-ის პრეზიდენტის ინოვაციური სტრატეგია გახლდათ.

იხ. 4 გვ.

◎ ნარნარი რყევები

**გასულ პარასკევს სამარშრუტო ტაქსების მძღოლები გაიფიცნენ.**

**ვაცალე.**

**ძალიან მაინტერესებდა რა მოხდებოდა.**

**ძალიან მაინტერესებდა, გადაიქცეოდა თუ არა თბილისი „უმარშუტკო“ ქალაქად.**

**ასევე მაინტერესებდა „სამარშუტკო მაფიის“ წარმომადგენელთა გვარები და მათი ბედი.**

და რაც მთავარია: — მაინტერესებდა, თუ რას იზამდნენ რიგითი მოქალაქეები. დაუჭერდნენ, თუ არა მხარს გაფიცულებს. აქციას თუ შეუერთდებოდნენ მანდატურებისგან დაჩაგრული პედაგოგები, შესამცირებლად გამზადებული ექიმები, დევნილები.

და რაც ყველაზე მთავარია, მაინტერესებდა, „მიტისკავდნენ“ თუ არა 600-ლარიან „ყვითელ“ კონტროლიორებს, რომლებიც იმ დღეს სრული შემადგენლობით გამოვიდნენ „სანადიროდ“.

თქვენც არ მომიკვდეთ.

როგორც მე არ გამომითქვამს პროტესტი ლიბიაში განვითარებული მოვლენების გამო, ისე არ „შეუწუხებია“ თავი არავის.

არა, რაც მართალია, ამ თემაზე საკმაოდ ბევრი ისაუბრეს როგორც პრესის, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა.

ეგ კი არა და მასმედიაში ფრაზა „მარშრუტკების რევოლუციაც“ გაჩნდა (ისე, რა მაგის პასუხია და, „ვარდებმა“ რა ხეირი მოგვიტანეს და „მარშუტკები“ რას გვიზამენძ.

ჰო, ბევრი ისაუბრეს. ისაუბრეს და „შეშფოთდნენ“ კიდეც, მაგრამ რა?

არაფერი!

აბსოლუტურად არაფერი.

კი ბატონო, გაიფიცნენ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები. გაიფიცნენ და კარგა გვარიანადაც „შეაფუცხუნეს“ მთელი, თუ არა, თბილისელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა.

„შეაფუცხუნეს“, და ხალხიც „ღელავდა“.

# ილიკო, ილარიონი და „მარშუტკების“ გაფიცვა



ღელავდა და სხვადასხვა ფორმით „აღშფოთებასაც გამოხატავდა“, მაგრამ მოქალაქეთა აღშფოთება საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო.

ზოგიერთები ძალიან წუხდნენ, რომ „მარშუტკები“ არ დადიოდა და ავტობუსების ლოდინი უწევდათ (ეგ კი არა, და „ფეისბუკზეც“ იყო ასეთი „სტატუსი“: — ყვითელი ავტობუსი რომ მოგენატრებაოძ.

გარკვეული ნაწილი მხარს უჭერდა გაფიცულ მძღოლებს. ლანძღავდა ხელისუფლებას და ამბობდა, მათ მხარი სხვა პროფესიის ადამიანებმაც უნდა დაუჭირონო.

საკმაოდ დიდი ნაწილი კი პირიქით. იქეთ ამუნათებდა გაფიცულებს.

წარმოიდგინეთ და, მათი არგუმენტები უფრო წონიანად ისმოდა გადატვირთულ ავტობუსებში.

— ეგენი ის „მარშუტკები“ არ არიან, თავიანთი შვილის მასწავლებელი რომ შეხვდეს თოვლში და ყინვაში ფეხით მიმავალი, გაჩერებასაც რომ არ იკადრებენ?

— ეგენი არ იყვნენ, მიშისტებს რომ დაარბენინებდნენ არჩევნების დროს კარუსელების მოსაწყობად?

— ეგ „მარშუტკები“ არ არიან, ათი თეთრი რომ გაკლდეს, ლანძღვით აგიკლებენ?

ამ კომენტარებზე დანარჩენები ჩუმდებოდნენ და სევდიანი თვალებით გაჰყურებდნენ თოვლჭყაპიან თბილისს.

გაჰყურებდნენ და გულში ბილეთების შესამოწმებლად ამოსულ კონტროლიორებს „ლოცავდნენ“.

საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა სამარშრუტო ტაქსების გაფიცვას და ორშაბთს საპარლამენტო უმრავლესობა, ანუ სწორედ ის ხალხი დაიბარა, ვინც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების თქმით, „მარშუტკების“ ბიზნესს აკონტროლებს.

საუბრის თემაც არსებულ პრობლემას შეეხებოდა და დაახლოებით ისე ჟღერდა, როგორც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“, ილიკოსა და ილარიონის მიერ საერთაშორისო ვითარების მიმოხილვა.

უფრო რომ დაგიკონკრეტოთ, გეტყვით, რომ ორშაბათს, პრეზიდენტის სასახლეში, მთელი ერთი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ იმაზე, თუ „როგორ უნდა აირიდოს საქართველომ საერთაშორისო ბაზრებზე წარმოქმნილი პრობლემებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი და ინფლაცია“.

როგორც ილიკომ, უჰ, უკაცრავად, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, „საერთაშორისო ვითარება არის ძალიან რთული. მსოფლიო პრაქტიკულად ომის მდგომარეობაშია. ნავთობის ფასები ზევით ავიდა და კიდევ უფრო მეტად შეიძლება გაიზარდოს. ამით მსოფლიო ეკონომიკა ჩამოიშლება. ასე რომ, კარგი არჩევანი არ არის. გვაქვს ან მაღალი ფასები და ჩამოშლილი ეკონომიკა, ან მაღალი ფასები და კიდევ შემდგომი ინფლაცია“.

აუჰ! (მაპატიეთ, მაგრამ ამ ფრაზასთან დაკავშირებით, მეტს ვერაფერს დავწერძ.

ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რა უქნა თავიანთ „სამარშრუტო ხაზებს“ ზოგიერთმა პარლამენტარმა, მას შემდეგ რაც გაიგო, ნავთობი კიდევ გაძვირდებაო, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის გადასარჩენად დავალება სერიოზული სახეებით მიიღეს და მთავარი პრიორიტეტების, ანუ „სახელმწიფო, სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის არაკორუმპირებულობის და კარგი საგადასახადო გარემოს“ შესანარჩუნებლად წავიდნენ.

ილარიონმა კი, უჰ, კიდევ შემეშალა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ, ბიუროს სხდომაზე განაცხადა, პარლამენტთან არსებული ბიზნესსაბჭოს პირველი სხდომა, სავარაუდოდ 2 მარტს გაიმართებაო და თანაც დასძინა, „ბიზნესმა ხელისუფლების მხრიდან, მათდამი პარტნიორული დამოკიდებულება უნდა იგრძნოსო“.

არადა სწორედ იმ დროს, 25 თებერვალს დაკავებულ ათ მძღოლს, 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

**გია გაბრიჭიძე**

სულიერება

# აჭარის მოსახლეობის ხვალინდელ დღეს საბედისწერო სასწორზე ნუ შეაგდებთ!

## ღია წერილი ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**„ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობასთან შექმნილი სათათბიროს ინტერესებში, აკადემიის დეკლარაციიდან გამომდინარე, ეროვნული ცნობიერებისა და ქართული ტრადიციების დაცვისა და გადარჩენის პრობლემებია. ახლახან სათათბიროს გაფართოებულ კრებაზე, რომელსაც დაესწრნენ ბათუმის ინტელიგენციის წამომადგენლები, პირუთვნელი მსჯელობა გაიმართა ბოლო დღეებში წამოწეული ისტორიულ საქართველოში ქართული ტაძრების რეაბილიტაციისა და ბათუმში ახალი ჯამეს აშენების შესახებ. კრების მონაწილეებმა მკაცრად შეაფასეს ბათუმის ცენტრში ჯამეს მშენებლობის იდეა თავისი პოლიტიკური სარჩულის გამო და შეიმუშავეს ღია წერილი ბ-ნ მიხეილ სააკაშვილისადმი, რომელსაც გთავაზობთ.**

ბატონო მიხეილ!

საკითხი მეზობელ თურქეთში ქართული ისტორიული ძეგლების, ეკლესია-ტაძრების აღდგენის აუცილებლობის შესახებ, რის სანაცვლოდაც თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა საქართველოში ოთხი ჯამეს მშენებლობას მოითხოვს, საზოგადოებრივი განსჯის აქტიურ ფაზაში შევიდა. ერთ-ერთი საკითხია გასული საუკუნის დასაწყისში ბათუმის ცენტრში მოქმედი ე. წ. „აზიზიეს ჯამეს“ სანაცვლოდ ახალი ჯამე-მუზეუმის აშენება. რას ნიშნავს ჯამე-მუზეუმი? გაუგებარია, რა ფუნქციის მატარებელი იქნება მუზეუმი ჯამეში?!

მეზობელი ქვეყნის ხელისუფლების ამ მოთხოვნისადმი ქართველი საზოგადოების, მათ შორის, აჭარაში მცხოვრები მუსლიმანების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, რაც საგაზეთო პუბლიკაციებში, ტელეგადაცემებსა და ამ თემის საზოგადოებრივი განსჯის დროსაც კარგად გამოჩნდა. აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მივიწყებული საკითხის მიღმა სხვა ჩანაფიქრი იმალება, ვიდრე ჩვენი ისტორიული ძეგლების აღდგენის სანაცვლოდ მუსლიმანური სარწმუნოების ადამიანთა ინტერესების დაკმაყოფილება.

„ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობასთან შექმნილი უხუცესთა სათათბიროს წევრები ამ ურთულესი და სასიცოცხლო საკითხისადმი გულგრილნი ვერ იქნებიან. ამიტომ ეს პრობლემა ჩვენი სათათბიროს განსჯის საგანი გახდა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ სალოცავი იქ უნდა შენდებოდეს, სადაც მრევლია. არაა აუცილებელი იგი ბათუმის ცენტრში აშენდეს. რაც შეეხება ზოგადად აჭარაში ჯამეების აშენების პროცესს, ხელისუფლების მხრიდან იგი ბოლო წლებში არასოდეს შეზღუდულა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ აჭარის სოფლებში 150 ჯამე და 51 მედრესე ფუნქციონირებს. ბოლო დროს მედრესეები ქალაქ ბათუმშიც მომრავლდა. სხვათა შორის, არც ერთი მათგანი არ იყო ასლან აბაშიძის მმართველობის დროს.

საზოგადოების დიდ ნაწილში უკმაყოფილებასა და გულისწყრომას ისიც იწვევს, რომ მუსლიმანური სამლოცველოების მშენებლობა თუ რესტავრაცია, მისი ფუნქციონირება მუსლიმანური სარწმუნოების აშკარად შეუზღუდავ პროპაგანდას უკავშირდება. ამ საკითხთან დაკავშირებული ე. წ. მისიონერები და მათ მიერ დაქირავებული ცალკეული ადამიანები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოქმედებენ. ამასთანავე, მათი საქმიანობა ანაზღაურებადია და არავინ ინტერესდება იმით, თუ ვისგან და რა მიზნების განხორციელებისათვის ფინანსდებიან ისინი. არც ამ ფინანსური წყაროს წარმომავლობით ინტერესდება ვინმე. ყოველგვარი შეფერხების გარეშე თურქეთიდან შემოაქვთ ლიტერატურა, ინვენტარი, მათ შორის – ტექნიკაც. აჭარის შეჭირვებული მოსახლეობა მეზობელი ქვეყნის „აქტივისტების“ „ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ყოველივე ამას კი საქართველოს ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები მშვიდად უყურებენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გასული საუკუნის საქართველოს, კერძოდ, ნოე ჟორდანიას მთავრობის ნაბიჯები მეორდება, როცა ისინი ხელისუფლების შესანარჩუნებლად მზად იყვნენ, თურქების მხარდაჭერის სანაცვლად აჭარა და ახალციხის ოლქი თურქეთისთვის გადაეცათ. ეს იყო 1918 და 1921 წლებში.

რაც შეეხება მეზობელ ქვეყანაში დანგრევის პირას მისულ ეკლესიებსა და მათი, როგორც ისტორიული ძეგლების, აღდგენას, უხუცესთა სათათბირო ამ ინიციატივას უერთდება. რა ხარჯებთანაც არ უნდა იყოს ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე დაკავშირებული, ძეგლები უნდა აღდგეს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ამას გამართლება მაშინ ექნება, თუ აღდგენილი ძეგლები მოქმედ ეკლესიებად თუ არა, ისტორიულ ძეგლებად მაინც იქნება აღიარებული და იმის საშუალებაც იქნება, რომ ამ ძეგლების ისტორიის ამსახველი ბუკლეტები ტურისტებისა და ისტორიით დაინტერესებული ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი გახდება. ძეგლების ისტორიის აღწერაში უნდა აისახოს და სრულყოფილად წარმოჩნდეს მათი წარმომავლობის საკითხი. ძალიან დიდია რისკ-ფაქტორი იმისა, რომ ეს ასე არ მოხდება, მით უმეტეს, თურქეთში იკრძალება ეთნიკურ ქართველებში „დედაენისა“ და სხვა ქართული წიგნების შეტანა.

რაც შეეხება ყოველ პარასკევს ბათუმის ჯამეს გადატვირთულობას, ეს მტკნარი სიცრუეა და აჭარის სოფლებიდან მრევლის ორგანიზებულად ჩამოყვანას უკავშირდება. ამ პროცესის ორგანიზატორებით არავინ ინტერესდება; არც ის აინტერესებთ, ეს ორგანიზებული „ჩამოყვანა“ რა მიზანს ემსახურება. ყოველივე ამას ხელისუფლება არაფერს არ უპირისპირებს, მაშინაც, როცა მეზობელი ქვეყნის ემისრები გაჭირვებულ ყოფაში მყოფი ჩვენი მოსახლეობის მოსაზიდად მედრესეებსა და მედრესე-ინტერნატებს ხსნიან, სადაც უფასო სწავლასა და უფასო კვების ორგანიზებასაც ახერხებენ. ხშირად მათ საცხოვრებლის საფასურის გადახდასაც სთავაზობენ.

საქართველოს ხელისუფლება იმასაც ურიგდება, რომ ზოგჯერ მასპინძლად ქცეული მეზობელი ქვეყნის წარმომადგენელი იმის თქმასაც ბედავს – „აჭარა ისტორიულად ჩვენი ქვეყნის ნაწილიაო“. ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ძალიან სერიოზული და სახიფათო „თამაშია“. ნათქვამი უსაფუძვლოდ რომ არ ჩაგვითვალოთ, ერთ არასასიამოვნო ფაქტს დავიმოწმებთ. ამას წინათ სასტუმრო „შერატონში“, მსოფლიო კარდიოლოგთა შეკრებაზე, ჩვენი მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა კარდიოლოგმა ერთი ავანტიურული განცხადება გააკეთა – „აჭარა თურქეთის განუყოფელი ნაწილიაო“. ეს განცხადება არც ხელისუფლებისა და არც ქართველი მედიკოსების მხრიდან აღშფოთებისა და რეაგირების საგანი არ გამხდარა. ამას კი ჩვენთან ადრე თავგასულობას ეძახდნენ, ბატონო მიხეილ!



მოწმეები ვხდებით იმისა, რომ აჭარაში ეროვნული თვითშეგნებაც ინგრევა და საფრთხის წინაშეა. ის, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, აჭარლების ქართულ ტრადიციულ სარწმუნოებასთან დაბრუნების პროცესს ხელს უშლის. საზოგადოებაში დღითი დღე ღრმავდება აზრი იმის თაობაზე, რომ ჩრდილოელ მეზობელთან ნორმალური ურთიერთობის შემთხვევაში ყოველივე იმას, რისი მოწმენიც დღეს ვხდებით, ადგილი არ ექნებოდა. ამას ჩვენი სამხრეთელი მეზობელი ანგარიშს გაუწევდა. ისტორიული სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ აჭარა სწორედ ჩრდილოელი მეზობლის დახმარებით დაუბრუნდა დედასაქართველოს 1878 წელს და არა 2004 წლის მაისში, როგორც ამას ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი აცხადებს.

ამჟამად აჭარაში თურქეთის მხარის ინტერესებითა და ფინანსებით აშენებული ან აღდგენილია 150 მეჩეთი. ამდენი მუსლიმანური სალოცავი აქ 1878 წელსაც კი არ იყო. ამის სანაცვლოდ რატომ არაფერი მოსთხოვა ჩვენმა ხელისუფლებამ თურქეთის მხარეს? ბათუმის ახლანდელი ჯამე სრულიად აკმაყოფილებს მრევლის მოთხოვნებს. დღეს თბილისში უფრო მეტი მუსლიმანი ცხოვრობს, ვიდრე ბათუმში. თუ ეს თურქეთის რელიგიური ინტერესებია და მას პოლიტიკური სარჩული არ უდევს, მაშინ რატომ მაინცდამაინც ბათუმში ითხოვენ ახალი მეჩეთის მშენებლობას და არა, ვთქვათ, თბილისში? გვერწმუნეთ, თუ იგი თბილისში აშენდება, ჩვენი ფიქრით, ამ საქმეს პოლიტიკური და იდეოლოგიური ექსპანსიის საფუძველი გამოეცლება.

ყველა ადამიანს, ვისაც ღმერთი სწამს, ჩვენ პატივს მივაგებთ და, – ამას ხაზგასმით ვამბობთ, – ქართველ მუსლიმანებთან გასაყოფი არაფერი გვაქვს, მაგრამ ისინი უცხო ქვეყნის ემისრებმა პოლიტიკური მიზნებისათვის ვერ უნდა გამოიყენონ. თუ არა დღევანდელი ჩვენი ეკონომიკური სიდუხჭირე, ამას თავად ქართველი მუსლიმანები არ დაუშვებდნენ. გაიხსენეთ „დათა თუთაშხიადან“ წისქვილის სცენა – რამ გადაგაწყვეტინა ჩემი მოკვლა, ეკითხება დათა თუთაშხია ზარანდიას მიერ მოსყიდულ მეწისქვილეს: – გაჭირვებამ, დათა ბატონო, გაჭირვებამ, ვერაგი კაცია ეს მუშნი ზარანდია, დათა ბატონო.

დათა თუთაშხია იქით იყოს და ჩვენს შემთხვევაშიც დიდ ვერაგობასთან გვაქვს საქმე, ბატონო მიხეილ!

ჩვენ, ბათუმელები, ვერა და ვერ გავიზიარებთ ქართული ტელეარხებისა და კულტურის ზოგიერთი დედაქალაქელი მოღვაწისა თუ ჩინოვნიკის კომენტარებს – ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების აღდგენის აუცილებლობას მაინცდამაინც აჭარისა და აჭარლების და, ამდენად, საქართველოს ინტერესების შელახვის ხარჯზე. ბათუმში მეჩეთის აშენებას უჭერენ მხარს და თანაც თავს ნებას აძლევენ აჭარლებს „თათრები“ გვეძახონ და ამას სჩადის საზოგადოების ყველაზე უფრო შეგნებული და არა შეუგნებელი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ნაწილი. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში 220 წელზე მეტია, რაც აჭარელი ქართველები ცხოვრობენ. ეს ადამიანები ერთმა გამოჩენილმა მწერალმა თავის რომანში თათრებად მოიხსენია. ნუთუ ამის შემდეგ ვინმეს ენა მოუბრუნდება იმის სათქმელად – თათრებს შეუგნებელი ქართველები გეძახიანო. ნუთუ ამდენ ხანს არ იცოდნენ, რომ ეს ძეგლები რესტავრატორის ხელს მოელოდა?! ამდენი ხნის განმავლობაში რატომ არ მიმართეს ჩვენი ხელისუფლებისა და კულტურის მოღვაწეებმა „იუნესკოს“ განადგურების პირას მისული ძეგლების თაობაზე? ჩვენო კარგო მთავრობავ და დედაქალაქელო კულტურის მოღვაწეებო, ძვირფასო ინტელიგენციავ, ნუ ჩაიდენთ დიდ და საშვილიშვილო ბოროტებას. აჭარამ ხომ საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველოს გადასარჩენად? ხელმეორედ ნუღარ გაწირავთ სამსაუკუნოვანი ტყვეობიდან გამოხსნილ და სულით და სისხლხორცეულად დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარას.

კიდევ უფრო სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ყველაფერი ეს ხდება ქართული ისტორიული ეკლესია-მონასტრებისა და ტაძრების კანონიერი მეპატრონის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის გვერდის ავლითა და მასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე. ეს ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტი საპატრიარქოს განცხადებაშიც აისახა.

ბატონო მიხეილ!

ჩვენი ღია წერილი, რომლითაც დღეს ღვაწლმოსილ უხუცესთა სათათბიროს სახელით მოგმართავთ, თქვენთვის სიგნალი უნდა იყოს იმისა, რომ აჭარის საკითხების განსჯისა და შეფასების დროს მეტი წინდახედულება გამოიჩინოთ, აჭარას თქვენს პირად ინტერესებს, მეზობელი ქვეყნის ლიდერთა გულის მოგებას ნუ შესწირავთ, აჭარის მოსახლეობის ხვალინდელ დღეს საბედისწერო სასწორზე ნუ შეაგდებთ. მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ, ბატონო მიხეილ! წყალში ნუ ჩაყრით იმას, რასაც ჩვენი წინაპრებისა და დიდი ილია ჭავჭავაძის გენიალური ნიჭი, დაუშრეტელი ენერგია და თავდადება დასჭირდა.

„ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობასთან არსებული უხუცესთა სათათბირო

ეკლესია

# ნამდვილი სახალხო დიპლომატია

**უკვე ორი წელია, რაც თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიაში პერიოდულად ტარდება ერთობლივი ქართულ-რუსული ღვთისმსახურება, რომელიც მიზნად ისახავს, დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, მოახერხოს ნორმალური, ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნება ქართველებს, რუსებს, აფხაზებსა და საერთოდ, ყველა მართლმადიდებელს შორის.**

გასულ სამშაბათს ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელ-მონაზონმა დავითმა გადაიხადა ივერიის ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი, რომლის დროსაც რუსი და ქართველი მრევლი ერთად ლოცულობდა საქართველოს გაძლიერებისა და ერთა შორის მშვიდობის დამყარებისთვის. პარაკლისი ტრადიციულად ორ ენაზე – ქართულად და რუსულად მიმდინარეობს და მამა დავითს რუსულენოვან მგალობელთა გუნდი ეხმარება.

პარაკლისის შემდეგ მამა დავითმა იმედი გამოთქვა, რომ ეს იქნება ძალიან კარგი მაგალითი ორ ხალხს შორის ურთიერთობის აღდგენის საქმეში. მან მრევლს მოუწოდა, რომ აუცილებელია ამ ტრადიციის გაგრძელება და საერთოდ, კარგი იქნება, თუკი საქართველოს ყველა ეკლესიაში იქნება ასეთი დღე – ქრისტიანული სიყვარულის დღე – როგორც მას მამა დავითი უწოდებს – და ამ დღეს ქართველი, რუსი, აფხაზი, ოსი და საერთოდ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი ერთად ილოცებს მშვიდობისა და ერთაშორისი სიყვარულისთვის.

„ის სიტუაცია, რომელშიც ახლა ჩვენი ხალხები იმყოფებიან, ნაწილობრივ იმის შედეგიცაა, რომ ხალხმა დაივიწყა ღმერთი. ისტორიულად, როცა ჩვენ გვახსოვდა ღმერთი, ისიც მუდამ ჩვენთნ იყო, ხოლო როცა ხალხი ივიწყებდა მას, სატანა დგებოდა ჩვენს შორის. მხოლოდ მაშინ ძლიერდებოდა და ერთიანდებოდა ჩვენი ქვეყანა, როცა ჩვენთან იყო ღმერთი და ჩვენ ვიყავით მასთან“ – აღნიშნა მამა დავითმა.

ერთობლივ, ორენოვან ღვთისმსახურებას ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიაში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, თუმცა ეს ფაქტი ჯერჯერობით სათანადოდ არ გაშუქებულა. მამა დავითმა უკვე ძალიან ბევრი გააკეთა ჭეშმარიტი სახალხო დიპლომატიისთვის: საკმარისია ითქვას, რომ მან ოთხიოდე წლის წინათ აღმოაჩინა და აღადგინა ყოფილი რუსული ეკლესია და სწორედ ეს, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია გადაიქცა იმ ადგილად, სადაც ქართველები, რუსები და სხვა მართლმადიდებლები ერთად ლოცულობენ მშვიდობისა და სიყვარულისთვის. ასევე მამა დავითი არის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ღვთისმსახური, რომელმაც ომის შემდეგ ქართულ ენაზე აღავლინა წირვა აფხაზეთში, კერძოდ ილორის ეკლესიაში.

იმედია, ქრისტიანული სიყვარულისა და ჭეშმარიტი სახალხო დიპლომატიის ასეთი მაგალითები კიდევ უფრო ხშირი იქნება, რადგან მხოლოდ ასეთ წამოწყებებს შეუძლია ოდნავ მაინც შეამციროს ის დაძაბულობა, რომელიც სიკეთეს არც ერთ ხალხს არ მოუტანს.

ზვიად ავალიანი

პრობლემა

*ხვალიდან საქართველოსთვის ევროკავშირთან გამარტივებული სავიზო რეჟიმი ამოქმედდება. უდავოა, რომ ევროპასთან მიმოსვლის გამარტივება, ევროინტეგრაციის მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა, როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ამ პროცესს შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოჰყვეს და ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდეს, რადგან ხელშეკრულების თანახმად, მიმოსვლის გამარტივებასთან ერთად, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან არალეგალი საქართველოს მოქალაქეების — ემიგრანტების დეპორტაციაც უნდა განხორციელდეს, რაც ათასობით უმუშევარი ადამიანის სამშობლოში დაბრუნებას ნიშნავს. გარდა იმისა, რომ ქვეყანას ამდენი უმუშევარი დაემატება, ის ოჯახებიც შემოსავლის გარეშე დარჩებიან, რომლებსაც ემიგრანტები საქართველოში ინახავდნენ.*

*რა შედეგებს მოუტანს ქვეყანას არალეგალების დეპორტაციის, რეადმისიის პროცესი? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ომბუდსმენს ემიგრაციის საკითხებში ნინო ცხოიძეს ესაუბრა.*

# ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩვენი არალეგალი მოქალაქეების დეპორტაცია ეკონომიკურ სირთულეებს შექმნის

— რა თქმა უნდა, სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულება კარგია, მოქალაქეების გარკვეულ კატეგორიას ნამდვილად გაუიოლებს საქმეს. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამ ხელშეკრულებას მეორე, ძალიან უარყოფითი მხარეც აქვს, რაზეც ჩვენი ხელისუფლება ყურადღებას არ ამახვილებს. ევროკავშირთან გამარტივებულ სავიზო რეჟიმს თან ახლავს რეადმისიის პროცესიც. ჯერ კიდევ 2005 წელს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაკადის დაბრუნება ქვეყანაში სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს შექმნიდა. თქვენ წარმოგიდგენიათ, ერთდროულად ამდენი ადამიანის ჩამოსვლა, რომლებიც რამდენიმე ოჯახს არჩენდნენ, რა მდგომარეობას შექმნის?! მათ გარდა, საქართველოში მყოფ კიდევ რამდენ ოჯახს შეუწყდება შემოსავალი?! ისეთი რა დანაზოგით უნდა ჩამოვიდნენ, რომ სანამ დასაქმდებიან, მანამდე ეყოთ?!

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, დაახლოებით რამდენი არალეგალი ქართველია საზღვარგარეთ და მათი დაბრუნების შემთხვევაში რამდენი უმუშევარი დაემატება ქვეყანას?**

— ემიგრაციაში 2 მილიონზე მეტი ადამიანია წასული, მაგრამ აქედან რამდენია არალეგალი და რამდენს არ აქვს სამუშაო ვიზა, რთული დასადგენია. ამის ზუსტი სტატისტიკა არც ერთ ორგანიზაციას არ აქვს. თუმცა ეს ციფრი ძალიან მაღალია. დღესაც ძალიან ბევრი ადამიანი მიდის არალეგალურად, ან ლეგალურად, მაგრამ სამუშაო ვიზა არ აქვს. ვიზის ვადის ამოწურვის შემდეგ, ისიც არალეგალი ხდება. სხვადასხვა ქვეყნის ქართველ ემიგრანტებთან გვაქვს კავშირი და გვეუბნებიან, რომ დღესაც ძალიან ბევრი ქართველი ჩადის. არადა, საქართველოში ოფიციალური უწყებები გვაწვდიან ინფორმაციას, რომ 2007 წლიდან ემიგრაციიდან დაბრუნებული ადამიანების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მათი ცნობით, 2007 წელს 10 000-ით მეტი ქართველი დაბრუნდა, 2008 წელს — 20 000 მეტი და 2009 — 34 000 მეტი ქართველი. ეს რომ ასე არ არის, ნებისმიერი თქვენი ახლობლისგან შეგიძლიათ შეიტყოთ, რომელიც საზღვარგარეთაა წასული. შემიძლია გითხრათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტები“ აერთიანებს 1800 უკან დაბრუნებულ კანონიერ ემიგრანტს. 5 თვეში 760 მათგანმა ისევ დატოვა საქართველო, რადგან სამსახური ვერ იშოვეს. ყოველდღიურად ხდება ისეთი ადამიანების გადინება, რომლებიც კანონიერი ემიგრაციიდან, სამშობლოში დასაქმების იმედით დაბრუნდნენ.




**— ამ ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს მთავრობა უკანონო ემიგრანტებს ჰპირდება, რომ დაბრუნების შემთხვევაში ვიზების მიღებას და კანონიერად წასვლას შეძლებენ. ეს ცარიელი დაპირებაა, თუ სამუშაო ვიზების მიღებას მართლაც შეძლებენ?**

— ქართველები ევროპის ქვეყნებში სამუშაოდ ოფიციალურად რომ წავიდნენ, ჯერ იმ ქვეყნებში საქართველოს ბიუროები უნდა ჰქონდეს შექმნილი. ორი ქვეყნის ხელშეკრულების საფუძველზე, ამ ბიუროებმა უნდა დაადგინონ, იმ ქვეყანას სამუშაოდ რა კატეგორიის ადამიანები სჭირდება. სამწუხაროდ, ასეთი ბიუროები ჯერ კიდევ არ შექმნილა, მიუხედავად იმისა, რომ გამარტივებულ მიმოსვლაზე საუბარი 2003 წლიდან დაიწყო. მასობრივი დეპორტაციის საფრთხის შესახებ პანიკა ქართულ ემიგრაციაში დიდი ხანია არსებობს. 2003 წელს, როდესაც მაშინდელმა პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა მიგრაციის კანონპროექტი, მაშინ წამოიჭრა მსგავსი ბიუროების შექმნის აუცილებლობა. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ოფიციალური მიგრაციის საშუალება სულ რამდენიმე ქვეყანაში არსებობს და თანაც მცირე რაოდენობით. არალეგალების დიდი ნაწილი, დაბრუნების შემთხვევაში ხელახლა წასვლას ვეღარ შეძლებს.

**— საერთაშორისო პრაქტიკა როგორია? სხვა ქვეყნები როგორ აგვარებენ მსგავს პრობლემებს?**

— სხვა ქვეყნების მაგალითების მოყვანა გამიჭირდება, მაგრამ ის შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთ ქვეყანაში ისე არ ექცევიან საკუთარ მოქალაქეებს, როგორც საქართველოში. ევროპის ქვეყნებში სანამ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის მქონე ემიგრანტების იდენტიფიკაცია არ მოხდება, მანამდე თავშესაფარსაც აძლევენ, საჭმელსაც, მკურნალობენ კიდეც და ყოველგვარ ადამიანურ პირობებს უქმნიან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღმოჩნდება, რომ ის ადამიანი იტყუებოდა, მაგრამ ავად არის, სამკურნალოდ ტოვებენ და საკუთარი ხარჯებით მკურნალობენ. საქართველოში კი, საკუთარი მოქალაქეები, მძიმე ავადმყოფები საკაცეებით გამოჰყავათ და გაურკვეველი მისამართზე ასახლებენ. ბევრმა ემიგრანტმა მაცნობა, რომ რეადმისიის ვალდებულებამდეც, ჩვენი ხელისუფლება უკავშირდებოდა ქვეყნების მთავრობებს და ზეპირი განცხადების საფუძველზე მოუწოდებდა საქართველოს მოქალაქეები უპირობოდ გამოეყარათ. თუმცა დეპორტირებულ ხალხს, აქ რითი უნდა ერჩინა თავი, ამაზე არავინ არ ფიქრობდა და ახლაც არავინ ფიქრობს.

**— გამოსავალი აქედან რა არის? ხელისუფლებამ რა ზომებს უნდა მიმართოს, რომ რეადმისიის პროცესი ნაკლებად მტკივნეული იყოს და ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო არ გააღრმავოს?**

— ყველა ქვეყანაში, სადაც ქართველი ემიგრანტები ცხოვრობენ, უნდა შეიქმნას სპეციალური ბიუროები, რომლებზეც უკვე ვისაუბრე. სამუშაო ადგილების გამოძებნამდე ასეთი დიდი რაოდენობის ნაკადის დაბრუნება კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს. მთავრობამ უნდა იზრუნოს, რომ ვინც დასაქმებულია, ის მაინც ნუ გახდება დეპორტაციის მსხვერპლი. მათი დეპორტაცია მხოლოდ მაშინ იქნება დასაშვები, როცა სამუშაო პირობებს შეუქმნიან.

ელიტური კორუფცია ხელის გულზე

# სამინისტროები, სადაც ყველა საჯარო ინფორმაცია აბსოლუტურად გასაიდუმლოებულია

(მეორე გვერდიდან)

რა ხდება საქართველოში? — მდგომარეობა სავალალოა. ეს მით უფრო თვალნათელი გახადა ახალმა საიტმა OPENDATA-.GE-მ. საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსით მსოფლიოს 192 ქვეყანას შორის მე-100 ადგილზეა. ხოლო 2010 წელს ელექტრონული სერვისის განვითარების ლიდერებად აღმასრულებელი ხელისუფლების შემდეგი დაწესებულებები გვევლინება — ფინანსთა, იუსტიციისა და რეინტეგრაციის სამინისტროები.



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDEIძ კვლევაში ნათქვამია: „პრაქტიკამ ცხადყო, რომ საქართველოს საჯარო დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციის მოწოდების ვადები ხშირ შემთხვევაში ირღვევა (გაგზავნილ განცხადებებზე 159 პასუხი ვადის დარღვევით მოგვაწოდესძ. ინფორმაციის გამოთხოვა იმ შემთხვევაშია გამარტივებული, თუ ინფორმაცია საბიუჯეტო ფინანსების ხარჯვას არ ეხება. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირთა ანაზღაურების, სამივლინებო ხარჯებისა და საპრემიო თანხების შესახებ გაგზავნილ განცხადებებზე პასუხები ხშირად რეაგირების გარეშე რჩება. ზოგიერთი ორგანიზაცია ზღუდავს ინფორმაციის გაცემას თანამშრომელთა სატელეფონო საუბრებზე, ავტომანქანით მომსახურებაზე, ავტომობილების შესყიდვაზე გაწეულ ხარჯებზე“.

პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა ყველაზე გაუმჭვირვალე ადმინისტრაციული ორგანო: განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო.

IDEI-იმ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას 33 შეკითხვა გაუგზავნა, პასუხი მიიღო ორზე. საჯარო ინფორმაცია მიაწოდეს მხოლოდ პრეზიდენტის ოფიციალური საჩუქრების ჩამონათვალზე (2009-2010 წლებისძ თუმცა ითხოვდნენ 15 წლის მონაცემებს. ასევე ითხოვდნენ ინფორმაციას საჩუქრების შეფასებული ღირებულებების შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. განათლების და მეცნიერების სამინისტროს 31 შეკითხვა გაეგზავნა, მაგრამ არც ერთს არ მოჰყვა რეაგირება. „ინსტიტუტმა“ გაასაჩივრა, თუმცა არც ამის შემდეგ ყოფილა გამოხმაურება. იგივე მოხდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების, სამივლინებო ხარჯების, პრემიების შესახებ ინფორმაცია არ გასცა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 31 შეკითხვა გაეგზავნა. ორთვიანი დუმილის შემდეგ მიღებულ წერილში ნათქვამი იყო, რომ „ინსტიტუტის“ განცხადებები არ აკმაყოფილებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. დანარჩენებმა მეტ-ნაკლები გამჭვირვალობით ღია გახადეს ინფორმაციები.

IDEI-იმ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებით თბილისის მერიასაც მიმართა. მერიის თანამშრომელთა ფინანსებთან დაკავშირებული შეკითხვები აქაც დახურული აღმოჩნდა. უპასუხოდ დატოვა კითხვები საქართველოს პარლამენტმაც, სადაც გაუმჭვირვალეა პარლამენტის თავმჯდომარისა და პარლამენტის წევრთა სახელფასო დანამატები და პრემიები. საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ ეს ინფორმაცია „იდენტიფიცირებადია და გაცემას არ ექვემდებარება“.

OPENDATA.GE-ის ავტორთა დასკვნით, პროექტის შედეგები ადასტურებს, რომ ჩვენთან ინფორმაციის გაცემა დამოკიდებულია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს „ნება-სურვილზე“, ასევე მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსზე. გაუგებარია, ადმინისტრაციული ორგანოების მიდგომა თანამდებობის პირთა შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოების მიმართ, მაშინ, როდესაც კანონში არის პირდაპირი მითითება ამ მონაცემების საჯაროობაზე, თანამდებობის პირთა ყოველგვარი თანხმობის გარეშე. აქედან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ასევე არაერთი პრობლემა არსებობს საქართველოს კანონმდებლობაშიც, რაც, უსამართლოდ ზღუდავს თითოეული მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას — საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

კვლევის პირველადი მონაცემებით, საქართველოში მხოლოდ ნეგატიური ტენდენცია შეინიშნება ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება აშშ-თან მიახლოვებას, ეს, ალბათ, შორეული პერსპექტივაა. ან არადა რაღაც „ვიკილიქსის“ ქართული ვარიანტი უნდა გამოჩნდეს, რომელიც საიდუმლოდ გამოამზეურებს ხელისუფლების დაფარულ ინფორმაციას...

**თეა მოსია**

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „აბსურდის თეატრის" თეთრქალაქისეული დაუმთავრებელი სპექტაკლი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2010 წლის 1 სექტემბრის ნომერში ამავე სათაურით გამოქვეყნებული ღია წერილის გაგრძელება**

**ვასრულებ დიდად პატივცემული მკითხველისთვის გაზეთის ზემოხსენებული ნომრის პუბლიკაციაში მიცემულ დაპირებას და ვაგრძელებ ბატონ რამაზ ლოდიას და ზოგიერთი მისი „თანამოაზრის" მიერ შპს „თეთრი ქალაქის" ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ ერთი ხელის მოსმით შესასხვლის მიზნით ჩადენილი მოქმედების „საქმენი საგმირონის" შესახებ საუბარს.**

მკითხველს, ალბათ, გაუკვირდება, რომ ბატონ რამაზ ლოდიას და მისი მეგობრის (რომელიც ვინაობას ჯერ არ ვასახელებ) მიერ მიღებული სტრესის მიუხედავად თურმე არ შეწყვეტილა შპს „თეთრი ქალაქის" ქონების ხელში ჩაგდების მცდელობა, ყოველ შემთხვევაში, ბატონ რამაზ ლოდიას მხრიდან მაინც. არადა, ადამიანმა, რომელსაც მთლიანად არ დაუკარგავს ის ცხოველისაგან განმასხვავებელი ნიშან-თვისება, რომელსაც გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერ-ფსიქიატრმა და მოაზროვნემ, აწ გარდაცვლილმა აკადემიკოსმა ავლიპ ზურაბაშვილმა „ჰომო მორალის" უწოდა, თუ მას გაცნობიერებული აქვს თავისი საქციელის უზნეობა, ალბათ, იგივე დანაშაული აღარ უნდა ჩაიდინოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბატონი რამაზის შემთხვევაში სინდისის ქენჯნა დიდი ფულის შოვნის სურვილმა გადაფარა. ამ შემთხვევაში ეს მთლად გასაკვირი არც არის, რადგან, მოგეხსენებათ, აზარტული თამაში, ყველაფერთან ერთად, ადამიანის ზნეობრივ გადაგვარებასაც იწვევს, მით უმეტეს, თუ ეს თამაში არ „უშაროლებს", მუდმივად აგებს, იღებს დიდ ვალებს ათასობით და ზოგჯერ ასობით ათასი დოლარის ოდენობით და ა.შ., რასაც, მოგეხსენებათ, გასტუმრება სჭირდება...

ასე იყო თუ ისე, ჩვენი („თეთრი ქალაქის" დამფუძნებლებისძ და შპს „თეთრი ქალაქის" გაკოტრების არშემდგარი მცდელობიდან საკმაოდ დიდი ხნის გასვლის შემდეგ, ჩემს სამუშაო ოთახში გამოცხადდა ბატონი რამაზ ლოდია, რომელზეც იმ დროისთვის, გასაგები მიზეზების გამო, გული უკვე გატეხილი მქონდა და და გამომიცხადა, რომ საჭირო იყო, შპს „თეთრ ქალაქს" რომელიღაც ბანკისათვის მიეყიდა თავისი იმ დროს უკვე მეტად სოლიდური ქონების ნახევარზე მეტი – 51 % ორ მილიონ დოლარად, რაც გადასარჩევი იქნებოდა როგორც ჩვენთვის, ისე მთლიანად საქმისათვის. თურმე ეს უთუოდ ასე იქნებოდა, რადგან, მასზე (ანუ რამაზ ლოდიაზეძ რომ არაფერი ვთქვათ, ამ ბანკში მუშაობენ ტვინით დატენილი ადამიანები, რომლებიც ჩვენს საქმიანობაში დანერგავენ ახალ, ჩემთვის და სხვა გოიმი დამფუძნებლებისთვის უცნობ თანამედროვე მეთოდებს, რის შემდეგაც ჩვენს ხაზინაში ფულის გარდა უხვად წამოვა რძის, ღვინისა და სხვა ძვირფასი სითხეების ღელეები და მდინარეები და ა.შ.

ყველაზე „საინტერესო" მის „მონოლოგში" კი ის იყო, რომ მისი განცხადებით მას თურმე ყველა საკითხი, მათ შორის ჩვენი ქონების ნახევარზე მეტის საზღაური – 2 მილიონი დოლარი, საბანკო პირამიდის ყველა დონეზე უკვე შეთანხმებული ჰქონდა და დოკუმენტებზე ხელის მოწერის გარდა ჩვენ არაფერი გვევალებოდა, თუ, რასაკვირველია, მე, როგორც თანამედროვე ცხოვრებას ჩამორჩენილი გენერალური დირექტორი, ისევე, როგორც სხვა გოიმი დამფუძნებლები, სწორად შევაფასებდით მის ამ საოცრად მიმზიდველ ინიციატივას და ა.შ.

ასეთი „მგზნებარე მონოლოგის" მოსმენამ ძალიან ცუდ ხასიათზე დამაყენა, რადგან ყველაფერთან ერთად, ყოველივე ეს ბატონ რამაზის წრესგადასულ თავხედობას მოწმობდა. ამიტომ, პირველ რიგში, ვურჩიე, რომ გოიმები თავის ზოგიერთ „ახალ ქართველ" მეგობარს შორის მოეძია, ჩვენთვის კი თავი დაენებებინა თუნდაც იმის გამო, რომ იგი არ იყო შპს „თეთრი ქალაქის" დამფუძნებელი პარტნიორი და მას არავინ ეკითხებოდა ჩვენი ქონების რაიმე ფორმით, მით უმეტეს, ასე ხელაღებითა და „ჩალის ფასად" გასხვისებას. იმ ტკბილ სიტყვებს შორის, რომლებიც მას ვუთხარი, იყო სრულიად საფუძვლიანი საყვედური, რომ მას, როგორც ჩვენს ტერიტორიაზე დიდი დაგვიანებით ჩემს მიერვე მოყვანილს, პატივი უნდა ეცა აქ მის გამოჩენამდე დადგენილი და უკვე არსებული წესებისათვის, რაზედაც მან თავხედურად მიპასუხა: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ როდის მოვა და ვინ ვის მოიყვანსო, რის შემდეგაც ბოლომდე გავაცნობიერე, რომ მის ნამუსზე შეგდებას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

ბატონ რამაზ ლოდიას ეს, მე ვიტყოდი, მეტად თავხედური გამოხდომა იმით დამთავრდა, რომ მას საკმაოდ უხეში ფორმით დავემშვიდობე და კატეგორიულად ვუთხარი, ასეთი ზედმიწევნით ამორალური იდეებით მომავალში არც ჩემთვის და არც შპს „თეთრი ქალაქის" ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებისათვის აღარასოდეს აღარ მიემართა. ბუნებრივია, ყოველივე ამის შესახებ მე დაუყოვნებლივ მოვუყევი შპს „თეთრი ქალაქის" დირექტორს ბატონ თამაზ ბაქანიძეს, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად სწორად დაგმო მისი ეს უღირსი საქციელი და ბატონი რამაზი არცთუ მთლად სასიამოვნო ეპითეტებითაც „შეამკო".

ამ ამბიდან გარკვეული ხნის შემდეგ სრულიად შემთხვევით, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, მეტად დროულად შევედი ბატონ თამაზ ბაქანიძის კაბინეტში და დავინახე, რომ იგი სადღაც წასასვლელად ემზადებოდა. როდესაც ვკითხე, თუ სად აპირებდა წასვლას, მან მომიბოდიშა და მითხრა, რომ მიდიოდა დინამოს სტადიონზე, სადაც იგი ტელეფონით ამ რამდენიმე წუთის წინ დაიბარა სამი ძმა ჩხაიძეებიდან უმცროსმა, ჯიმიმ (თუ ვინ არიან ჩემი წარმოდგენით ეს კარგი ახალგაზრდები, ამას საჭიროების მიხედვით მოგახსენებთძ და მასთან მიეჩქარებოდა.

მე, რასაკვირველია, ვერ მივხვდი, თუ რისთვის იძახებდა ბატონი ჯიმი ბატონ თამაზ ბაქანიძეს სტადიონზე რაღაც საიდუმლო შეხვედრაზე, მაგრამ თვით ეს ფაქტი ძალზე არ მომეწონა და ბატონ თამაზს დაუფარავად ვუსაყვედურე, რომ მას მოეთხოვებოდა მეტი პატივისცემა როგორც საკუთარი პერსონის, ისე იმ დროს ჯერ კიდევ არცთუ მთლად ადვილად ხელწამოსაკრავი შპს „თეთრი ქალაქის" მიმართ, რომელსაც იგი წარმოადგენდა, ვუთხარი, რომ მას ჰქონდა სამუშაო კაბინეტი და ყველას, მათ შორის სიმპათიურ ახალგაზრდა ჯიმი ჩხაიძესაც, კეთილი უნდა ენება და, თუ რაიმე საქმე ჰქონდა, ბატონ თამაზს მის სამუშაო კაბინეტში ხლებოდა.

ბატონი თამაზი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ აღიარა ჩემი საკმაოდ მკაცრი შენიშვნის სამართლიანობა, უმალ გადაურეკა ბატონ ჯიმი ჩხაიძეს და სტადიონის ნაცვლად შპს „თეთრი ქალაქის" ადმინისტრაციაში შესთავაზა შეხვედრა, ხოლო თვითონ, როგორც ჩანს, რაღაც საქმეზე გავიდა გარკვეული დროით და უმცროს ჩხაიძეს ადგილზე აღარ დახვდა. ამ უკანასკნელმაც არც აცია და არც აცხელა და პირდაპირ ჩემს კაბინეტში „შემოაჭრა", რადგან მას და მის ძმებს, აგრეთვე მათს მეტად სიმპათიურ მშობლებს ბატონ თამაზზე არანაკლებად ვიცნობდი და მათი არანაკლები ნდობით ვსარგებლობდი.

საუბარი ბატონ ჯიმი ჩხაიძესთან იმდენად მნიშვნელოვანი და ამასთან საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, რომ დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა. საგაზეთო პუბლიკაციის ფორმატი საშუალებას არ იძლევა თუნდაც სქემატურად გადმოგცეთ ამ საუბრის შინაარსი. თუმცა უნდა ვთქვა, რომ იგი, რბილად თუ ვიტყვით, დიდ შეცდომაში იყო შეყვანილი. კერძოდ, თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ჩემი თანამოსაუბრე მწარედ იყო მოტყუებული, თითქოს ეს საკითხი, რომელიც კვლავ და კვლავ შპს „თეთრი ქალაქის" ქონების 51 პროცენტის ბანკირებისთვის 2 მილიონ დოლარად მიყიდვას შეეხებოდა, ჩვენთან, ანუ შპს „თეთრი ქალაქის" ხელმძღვანელობასთან, დიდი ხნის წინათ იყო შეთანხმებული და, იმედია, მიხვდებით, ძვირფასო მკითხველო, ისევ და ისევ ბატონ რამაზ ლოდიას მიერ. ეს, რასაკვირველია, აბსურდი იყო, მაგრამ ბატონ რამაზს, რომელიც თაღლითობის საკმაოდ დიდი „ნიჭით" არის დაჯილდოებული, უმცროსი ჩხაიძე ისე მტკიცედ ჰყავდა დარწმუნებული, რომ მის გადარწმუნებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა...

**მე აქ დავსვამდი წერტილს, თუმცა ხაზგასმით ვიტყვი, რომ შპს „თეთრი ქალაქის" ქონების ხელში ჩაგდების ეს მეორე მცდელობაც არ აღმოჩნდა უკანასკნელი, რაც არა მარტო ბატონ რამაზ ლოდიას და მისი თანამზრახველების დიდ უტიფრობას, არამედ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი შპს „თეთრი ქალაქის" დამფუძნებლებს თავს დატეხილი უბედურობების (რის შესახებაც წინა წერილში საკმაოდ ვრცლად გვქონდა მსჯელობა) ფონზე „თეთრი ქალაქის" ძველ და ახალ დამფუძნებელთა შორის გაჩენილი შინაგანი ხრწნის პროცესის გაღრმავებას მიუთითებდა, რაც ყველაზე მეტად საგანგაშო იყო და რამაც საბოლოო ანგარიშით მიგვიყვანა კიდევაც დღევანდელ სავალალო შედეგებამდე.**

დაინტერესებული მკითხველისთვის გასაგები რომ გახდეს, თუ რაზეა ლაპარაკი, საჭიროა ჩვენს აღსარებასავით გულწრფელ თხრობაში ნეგატიური მნიშვნელობით ერთი საკმაოზე მეტად საგულისხმო, დღეს უკვე „ლეგენდად" ქცეული ქალბატონის ნაირა ხაბულიანის – შპს „თეთრი ქალაქის" ერთ-ერთი მთავარი დამაქცევარის – ოდიოზური ფიგურა შემოვიყვანო, რომელიც, ყველაფერთან ერთად, ჩემი აწ უკვე ყოფილი მეუღლეა, და რომელმაც დღეს საქართველოს მასშტაბით წარმატებით გამოიჩინა თავი როგორც ქონებისა და სახელის სწორუპოვარმა მაძიებელმა და თავისი არცთუ მთლად სასახელო და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გაიარა დიდი გზა მშობლიური სოფელ მუწდის (ლენტეხის რაიონის ერთ-ერთი უმაღლესი და უმშვენიერესი დასახლებაძ კოლმეურნეობის მეველის მოადგილეობიდან საქართველოში ფართოდ ცნობილი შპს „თეთრი ქალაქისა" და „კიდობანის" სავაჭრო სახლების „უგვირგვინო დედოფლამდე". მისმა თავხედობამ და აღვირახსნილობამ, განსაკუთრებით ამ ბოლო ორი წლის მანძილზე, როგორც ოჯახში, ისევე „თეთრ ქალაქში" უმაღლეს ზღვარს მიაღწია, მაგრამ ყოველივე ამის აღწერა და შეფასება სცილდება ამ დღევანდელი ღია წერილის ჩარჩოებს და ალბათ, ოდესმე ცალკე, სერიოზული განსჯის საგნად იქცევა.

ამიტომ ახლა იმის თქმითღა შემოვიფარგლები, რომ მისი გამოჩენა კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრ „თეთრი ქალაქის" ისედაც პირქუშ ცის კაბადონზე, აგრეთვე მკითხველისთვის უკვე კარგად ცნობილი ბატონ რამაზ ლოდიას ერთ-ერთ წარმატებულ კრიმინალურ „პროექტად" უნდა ვაღიაროთ. თურმე ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჩვენს მიმართ ფაქტობრივად შეცდომით განხორციელებული რეპრესიების ყველაზე მძაფრ პერიოდში, რაზეც წინა პუბლიკაციაში საკმაოდ სრულად გვქონდა მსჯელობა, იგი დღენიადაგ იმას ფიქრობდა, როგორ გაეთხარა ჩემთვის სამარე, რათა აღესრულებინა თავისი შავი ზრახვები – „მღვრიე წყალში" შედარებით იოლად დაპატრონებოდა შპს „თეთრი ქალაქის" უკვე საკმაოზე დიდ ქონებას შუბლის ძარღვგაწყვეტილ თანამონაწილეებთან ერთად.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, პატივცემულო მკითხველო, მან ამ განზრახვის აღსასრულებლად არჩევანი გააკეთა არა ვინმე უცხო გარეწრის, არამედ სწორედ ქალბატონ ნაირა ხაბულიანის „სასარგებლოდ", რომელსაც ყველაზე მეტად მოეთხოვებოდა ანზორ გაბიანის ერთგულება, თუნდაც ელემენტარული ქრისტიანული ზნეობის მოთხოვნიდან გამომდინარე, როგორც კანონიერ მეუღლეს.

**ამ შემთხვევაში ბატონ რამაზ ლოდიას განზრახვა სწორედ ის გახლდათ, რომ ჩაერთო იგი ჩემთან ჯერ ფარულ, ხოლო შემდეგ აშკარა ბრძოლაში, და ერთიანი მოქმედებით, აგრეთვე სხვა პირების დახმარებით მიეღწიათ, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი ნაირა ხაბულიანით ჩანაცვლებისთვის. ბატონ რამაზ ლოდიას „სასახელოდ" უნდა ითქვას, რომ ეს მისი ჩანაფიქრი იმ წარმატებულ გათვლასთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროგნოზთან იყო დაკავშირებული, რომ არც ქალბატონი ნაირა ხაბულიანი იქნებოდა ამ ავანტიურაზე ძნელად დასაყოლიებელი. ეს სულ მალე ნათლად დადასტურდა კიდევაც, მაგრამ ამაზე სჯობს სხვა დროს ვისაუბროთ.**

**ამგვარად, ჯერ კიდევ საკმაოზე დიდი ხნის წინათ ბატონ რამაზ ლოდიას, გარდა ზემოგანხილულისა, ჩადენილი ჰქონდა კიდევ ერთი „ცოდვა" შპს „თეთრი ქალაქის"ქონების დაუფლების მიზნით, რაც სულ მალე ახალ დანაშაულებრივ განზრახვაში გადაიზარდა, რომლის განხორციელებისათვის დღესაც დიდი ბრძოლა მიმდინარეობს. თუმცა ამაზეც სჯობს სხვა დროს ვილაპარაკოთ უფრო საგნობრივად.**

რაც შეეხება ჩემს შემდგომ პუბლიკაციას „თეთრი ქალაქის" დამაქცევართა „საქმენი საგმირონის" შესახებ, მინდა ეს თუ არა, იძულებული ვარ, იგი ძირითადად განსაკუთრებული უზნეო და აგრესიული ქცევით ახლა უკვე გარკვეულ წრეებში საკმაოდ კარგად ცნობილ ქალბატონ ნაირა ხაბულიანის ოდიოზურ პერსონას მივუძღვნა.

თუმცა რახან, ბოლოს და ბოლოს, შპს „თეთრი ქალაქის" დღეს უკვე უდავო „უგვირგვინო დედოფალ" ნაირა ხაბულიანზე ჩამოვარდა სიტყვა, ახლავე უნდა ვთქვა, რომ მანამ, სანამ იგი ამ დაახლოებით 2-3 წლის განმავლობაში აღნიშნული ორგანიზაციის, მისი მრავალათასიანი კოლექტივის ერთ-ერთ მთავარ დამაქცევრად და რისხვად მოგვევლინებოდა, მან მოასწრო ჯერ კიდევ ჩემს ცოლად ყოფნის პერიოდში სამჯერ მოეწყო ჩემთვის სისხლიანი გარჩევები და თავისი ახლობელი „მოწმეების" თანდასწრებით პირადად მოეყენებინა ჩემთვის სხეულის დაზიანებები, განქორწინების შემდეგ კი ორჯერ ჩაეტარებინა ჩემი გალახვის ოპერაციები, რომელთაგან ერთს დღესაც უშედეგოდ „იძიებს" ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილება და რომლის შემდეგაც საჭირო გახდა ჩემთვის თავის და სახის არეში ნაკერების დადება და სხვა სამედიცინო მანიპულაციები. **გარდა ამისა, მან და მისმა ორგანიზებულმა ჯგუფმა (რომ არ ვთქვა ბანდამ), რომლის წევრები, როგორც უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, არიან მისი დები – ქალბატონები ნინო, მადონა ხაბულიანები და კიდევ ბევრი ახალგაზრდა ნათესავი, მაგალითად, პოლიციის მაიორი, დები ხაბულიანების თანასოფლელი ვინმე კვასტიანი (ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომელი), ჩემს მიმართ ხანგრძლივი დროის მანძილზე ქ-ნ ნაირას „სასარგებლოდ" განახორციელეს ქონების ნებაყოფლობით – იძულებით ჩამორთმევის ოპერაციები, რის წყალობითაც მე აღმოვჩნდი არა მარტო უქონელი, არამედ ფაქტობრივად ვაკის ცენტრში ჩემს მიერვე აშენებული ორი შესანიშნავი ბინიდან ერთ-ერთის „უკანონო" ბინადარი, ანუ, იგივე ხიზანი – დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების" თითქმის ანალოგიურად ნაკოს (ნაირა ხაბულიანის სიყრმის მეტსახელი) ხიზანი, რომელსაც, თავისი ჭკუით თუ უჭკუობით, როცა მოუნდება, მაშინ ამომართყამს „ჭიტლაყს" და ქუჩაში მომისვრის.**

რაც შეეხება ნაირა ხაბულიანის მიერ თვით შპს „თეთრ ქალაქში" ჩემს საწინააღმდეგოდ განხორციელებულ სამარცხვინო ძალადობის აქტებს, ამის შესახებ აქ მოკლედ ვიტყვი, რომ **მისმა თავხედობამ და უზრდელობამ თავის ზენიტს მიაღწია მაშინ, როდესაც მისი დაჟინებითი მოთხოვნით ამ ორგანიზაციის დირექტორმა შემიწყვიტა ხელფასი, არ იძლევა დივიდენდებს, ჩამიკეტა კაბინეტი, თავისი მოკლე ჭკუით, დაავალა დაცვის უფროსს, არ შემოეშვა ჩემი მანქანა „თეთრი ქალაქის" ტერიტორიაზე და ა.შ.**

**და ეს მაშინ, როდესაც არსებული კანონმდებლობით მე დღესაც ვარ „თეთრი ქალაქის" ორ ახლადაშენებულ უშველებელ შენობაში დაახლოებით 1500 კვ.მ., ხოლო ამ**

იხ. 6 გვ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „აბსურდის თეატრის“ თეთრქალაქისეული დაუმთავრებელი სპექტაკლი

(მეოთხე გვერდიდან)

**შენობების სავაჭრო ფართის დახლოებით 350 კვ.მ. ერთპიროვნული მესაკუთრე. და რომ არა ეგრეთ წოდებული დირექტორის, ვირეშმაკა თამაზ ბაქანიძის, აგრეთვე მისი დამქაშების, პირველ რიგში ისევ და ისევ ნაირა ხაბულიანის უტვინობა და უნამუსობა, ჩემი ყოველთვიური შემოსავალი, მარტო დივიდენდების სახით, 10000 ამერიკულ დოლარზე მეტს (17 ათას ლარს), წელიწადში კი 250000 დოლარს უნდა შეადგენდეს, მაგრამ რეალურად არაფერს ვღებულობ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბატონი თამაზი მთელი თავისი თავხედი და უზრდელი გარემოცვით სინამდვილეში არა კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრ „თეთრ ქალაქს“ თავისი მრავალათასიანი კოლექტივით, არამედ ბოროტებას ემსახურება.**

მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს შეკითხვა, თუ რამ და როდის გამოიწვია ახალგაზრდობაში საკმაოდ კარგი გარეგნობისა და ქცევის ადამიანის აგრერიგად გადაგვარება სხვათა ქონების მაძიებელ და საკმაოდ მარჯვე ეშმაკობითა თუ ძალადობით მიმთვისებელ მონსტრად. როგორც მისმა ყოფილმა მეუღლემ, შემიძლია ვთქვა, და ეს არ იქნება ცილისწამება, რომ ჯერ კიდევ ერთობლივი ცხოვრების საწყის ეტაპზეც ზოგჯერ ავლენდა თავშეუკავებლობასა და აგრესიას, მაგრამ შემდეგ საკუთარ ქცევაზე კონტროლს საკმაოდ წარმატებით აღადგენდა ხოლმე. თუ ჩვენს დაახლოებით ოცდაათწლიანი ერთობლივი ცხოვრების სამ მონაკვეთად გავყოფთ, ბოლო დეკადაში უდავოდ მისი თავშეუკავებლობა და თავხედობა განსაკუთრებით ხშირად და საკმაოდ მძიმე ფორმით ვლინდება ხოლმე.

მაგალითისათვის კმარა ლენტეხის რაიონში 1999 წელს სადეპუტატო არჩევნებში წაგების შემდეგ მისი მეთაურობით უახლოესი გარემოცვის მიერ მოწყობილი კონფლიქტი, რასაც დაპირისპირებულ მხარეთა დაშოშმინების მიზნით რაიონში პოლიციელთა ექვსასკაციანი რაზმის შეყვანა მოყვა, აქედან გამომდინარე ძალზე უხერხული შედეგებით. მაშინ მის დაძმებზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმეები და რომ არა იმდროინდელი საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ დაშვებული სერიოზული დათმობები (შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ ეს ჩემი უშუალო ჩარევის გარეშე მოხდა), ეს შემთხვევა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი რეპრესიით დამთავრდებოდა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ამ მეტად გახმაურებულ ინციდენტს ერთი მაღალი თანამდებობის პირის, რომლის ვინაობასაც არ დავასახელებ, კარიერა შეეწირა, რადგან მას ბრალად ნაირა ხაბულიანის მომხრეებისთვის აქტიური მხარდაჭერა ედებოდა... ამ მეტად არასასიამოვნო შემთხვევიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ ქალბატონი ნაირა ხაბულიანი დღისით-მზისით მიუხტა სამსახურში ერთ-ერთ საკმაოზე მეტად გამოჩენილ პიროვნებას, კარგ სვანსა და ჩემს ძველ მეგობარს, რომლის ვინაობასაც არ დავასახელებ და თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის ტროტუარზე მრავალი ადამიანის თვალწინ პისტოლეტის ოთხი ტყვია დაახალა, რასაც აგრეთვე დიდი სკანდალი მოჰყვა.

**ამის მერე, ყველაფერთან ერთად, ამ ადამიანს დღემდე თვალს ვერ ვუსწორებ იმიტომ, რომ ეს ინციდენტი, რომელსაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია მიეცა, ყველაფერთან ერთად ამ კარგი ვაჟკაცის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, ყოველგვარ სერიოზულ საფუძველს მოკლებული იყო და ჩემს თავს მივცემ უფლებას ამ საქციელის როგორც მაშინდელი, ისე დღევანდელი გადასახედიდან „ვირო მადლის...“ კვალიფიკაცია მივცე...**

„ვირო მადლიო...“ ამბობს ქართული ხალხური ანდაზა და იგი შესანიშნავად ასახავს იმ ვითარებას, რომელსაც მე გადავეყარე ქალბატონ ნაირასა და მის ოჯახთან, კერძოდ კი დებთან ნინოსთან და მადონასთან და ზოგიერთ სხვა ახლო თუ შორეულ ნათესავთან მიმართებაში. მათ კი იმ დიდ სიკეთეს, რომელიც გასულ სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე მე და ჩემს ოჯახს, ჩემს აწ გარდაცვლილ მშობლებს, ერთადერთ დას მიგვიძღვის მათ მიმართ, **თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა ვირთან ბოდიში მომიხდია და, დიდი უსინდისობით უპასუხეს. მარტო ქალბატონ მადონა ხაბულიანის უტიფრობა რად ღირს, რომელიც უკვე ოცი წელიწადია სარდაფიდან ჩემს კუთვნილ ეზოიან სახლში გადავასახლე და დღემდე დიდებულად ცხოვრობს, ჩემს საწყალ თითქმის ოცი წლის წინ გარდაცვლილ [illegible] დედას ისეთი ეპითეტებით ამკობს ხოლმე სახალხოდ, რომ ნებისმიერ ქუჩის ქალს, შეშურდება.**

რაც შეეხება ოდესღაც საქართველოში სახელგანთქმულ კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრ „თეთრი ქალაქის“ გუშინდელ და დღევანდელ დამაქცევრებს, როგორც ერთ-ერთ ჩემს ადრეულ პუბლიკაციაში უკვე იყო ნათქვამი, ესენი კვლავ და კვლავ არიან ქალბატონი ნაირა ხაბულიანი, ბატონი თამაზ ბაქანიძე, ბატონი რამაზ ლოდია, მისი მეუღლე ქალბატონი ქეთევან გაბიანი, ბატონი რევაზ ჭელიძე და ზოგიერთი სხვა, ვინც ამ ორგანიზაციას ანგრევს შიგნიდან, დანარჩენები ამას გარედან ეხმარებიან, მაგრამ მათ ვინაობას დღეს არ დავასახელებ.

**ჩვენ, მათი უსინდისობის, თავხედობის, დაბალი ინტელექტისა და კვალიფიკაციის მსხვერპლთა მრავალათასიანმა არმიამ მათ საკმაოზე მეტი დრო მივეცით იმისათვის, რომ ჭკუას მოგებოდნენ და შეეწყვიტათ ძირგამომთხრელი საქმიანობა, თუ სხვა გამოსავალს ვერ ნახავდნენ, გზიდან ჩამოგვშორებოდნენ მაინც და საშუალება მიეცათ ჩვენთვის, გადაგვერჩინა მათი ხელით სერიოზულად დაზიანებული საქართველოს სავაჭრო ბიზნესის ერთ-ერთი უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი ფლაგმანი, კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი „თეთრი ქალაქი“, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.**

ამიტომ, სანამ სულ გვიან არ იქნება და „თეთრი ქალაქის“, თუ შეიძლება ასე ითქვას, სისხლმდენი სოციალ-ეკონომიკური ორგანიზმი კვდომას დაიწყებს, რისი მოწმენიც ჩვენ დღეს უკვე ვართ, მოვუწოდებ ყველა დაზარალებულსა და გულშემატკივარს, გავაერთიანოთ მცდელობა და დაუყოვნებლივ შევუდგეთ რეანიმაციის ღონისძიებების განხორციელებას.

რაც შეეხება იმას, თუ რა გადაუდებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს უკვე უახლოეს დროს ამ მრავალტანჯული ორგანიზაციის გადასარჩენად, მის დამაქცევართა საქმიდან ჩამოშორების რადიკალური ზომების გატარების შემდეგ, ჩემს მოსაზრებას ამის თაობაზე უახლოეს მომავალში გაგაცნობთ. დღესვე კი დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ამ უპატრონობითა და უსულგულობით მძიმედ დაავადებულ სოციალურ ორგანიზმს არა მარტო ცოცხლად გადარჩენა, არამედ უდავოდ აყვავება უწერია კარგი დასტაქრებისა და ხელმძღვანელების ხელში...

**ანზორ გაბიანი,**
შპს „თეთრი ქალაქის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, ერთ-ერთი პირველი დამფუძნებელი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

*P.S. სულ ბოლო ხანს გავიგე, რომ ჩემი ოჯახის და, რაც მთავარია, უკანასკნელი 2-2,5 წლის განმავლობაში კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის შპს „თეთრი ქალაქის“ ერთ-ერთი ძირითადი დამაქცევარი თურმე გაოცებული ყოფილა — რა უნდათ ჩემგან ამხანაგ გაბიანსა და დანარჩენებსო, და უნებებია, მისთვის მიმეწერა წერილი იმის თაობაზე, თუ რა არის ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელი ამ მრავალტანჯულ საზოგადოებაში დღეს არსებული ვითარებიდან.*

*მრავლისმომსწრე და პრინციპულობით ცნობილ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი ჩემი მოკრძალებული წერილის მეშვეობით ვასრულებ რა ქალბატონ ნაირას ამ დავალებას, და თან სამართლიან გაკვირვებასაც გამოვთქვამ, რადგან თუ, ამ ქალბატონმა დაკვირვებით წაიკითხა ამავე გაზეთში ჩემს მიერ გამოქვეყნებული ღია წერილების სერია, ასეთი შეკითხვა არ უნდა გასჩენოდა, ხოლო თუ ისინი, პრინციპულად, ასე ვთქვათ, ფეხებზე დაიკიდა, ეს იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რომ საქმე მძიმე შემთხვევასთან გვაქვს, როდესაც მგლის თავზე სახარებას კითხულობენ, ის კი მაინც ტყისკენ იყურება. მიუხედავად ამისა, რომ არ გაჩნდეს აზრი, თითქოს არ ვაკმაყოფილებდე მის ცნობისმოყვარეობას, მოკლედ ჩამოვაყალიბებ რამდენიმე სერიოზულ შეკითხვას, რომელზედაც პასუხი უნდა გაგვცეს არა პირადად ქალბატონმა ნაირამ, არამედ არსებული წესის თანახმად ბატონმა თამაზ ბაქანიძემ, რომელსაც ამის გაკეთება სამართლებრივად მოეთხოვება, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალბატონ ნაირას იგი ისე ჰყავს „დაჩმორებული“, რომ უიმისოდ ხმის ამოღებაც არ შეუძლია.*

*შეკითხვა პირველი: რატომ გამირბის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და უკვე ორ წელიწადზე მეტი ხანია, სრულ დუმილს არჩევს ჩემს სერიოზულ შენიშვნებზე, მაშინ, როდესაც მე, როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელი, მისგან სრულიად კანონიერად მოვითხოვ (თავი რომ დავანებოთ ჩემს რეალურ დიდ დამსახურებასა და ამაგს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ პირადად მის მიმართ, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ სრულიად არ ფიგურირებდა ჩვენი ორგანიზაციის დამფუძნებელთა სიაში და მასში სწორედ მე შევიყვანე ბატონ გია მეტრეველის, ერთ-ერთი ძველი დამფუძნებლის, თხოვნით, თუმცა იმ დროს ბატონ თამაზს პირადად არც კი ვიცნობდი), მაშინ, როდესაც როგორც კანონის მეწარმეთა შესახებ, ჩვენი წესდების და, რაც მთავარია, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მოთხოვნათა მიხედვით იგი მოვალეა, უსიტყვოდ შეასრულოს ჩემი მოთხოვნები?! რაც შეეხება პირადად ჩვენს „უგვირგვინო დედოფალს“, ნაირა ხაბულიანს, ვთხოვ, განმიმარტოს, თუ რა როლი მიუძღვის მას პირადად ბატონ თამაზ ბაქანიძის ამ უგვანო და, მე ვიტყოდი, დანაშაულებრივ საქციელში!*

*შეკითხვა მეორე: ვინ მონაწილეობდა უშუალოდ იმ დანაშაულებრივი განზრახვის ფორმირებასა და შესრულებაში, რაც შპს „თეთრი ქალაქის“, შპს „ „კიდობანისა“ და შპს „კიდობან-2“-ის შენობებათა ხელაღებით უკანონო ნგრევით გამოიხატა და რაც თავხედობის უმაღლესი ფორმით განხორციელდა ამ ერთი წლის წინათ, მაშინ, როდესაც ეს ორი ობიექტი არაჩვეულებრივად მუშაობდა და სერიოზულ შემოსავალსა და მოგებას აძლევდა ხსენებული სამი ორგანიზაციის დამფუძნებლებს, სახელმწიფო ბიუჯეტს და, რაც მთავარია, ამ ობიექტებზე დასაქმებულ დამქირავებელთა დიდ არმიას, აგრეთვე მომმარაგებლებს, გამყიდველებს და ა.შ., სულ მრავალ ასეულ უდანაშაულო ადამიანს, რომელთა მეტი ნაწილი უხეში ფორმით განიდევნა აღნიშნული ობიექტებიდან და დარჩა ულუკმაპუროდ?*

*რა როლი მიუძღოდა ამ დიდ დანაშაულსა და ელემენტარულად არანაკლებად მძიმე ცოდვაში, რაც მრავალი ასეული ოჯახის ულუკმაპუროდ დატოვებაში გამოიხატა, პირადად ქალბატონ ნაირა ხაბულიანს, რომელსაც რაღაც ჩემთვის გაუგებარი მანქანებითა თუ ფსიქოლოგიური მაქინაციებით დირექტორი ბაქანიძე ფეხქვეშ ჰყავს გადებული და უკვე მრავალი თვეა, თავსა და ფეხებს იქით უშვება, საითაც მას სურს?!*

*იცის თუ არა მან, რომ ამ ნგრევას შპს-ების „კიდობანისა“ და კიდობანი-2“-ის დამფუძნებელთა ძალიან დიდი გულისწყრომა მოჰყვა, რადგან ეს მძიმე დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა ჩამდენები მეტად სერიოზულ სისხლისსამართლებრივ სასჯელებს იმსახურებენ და ალბათ, მიიღებენ კიდეც, გამანადგურებელი აღმოჩნდა აგრეთვე ორი არსებული უმაღლესი დონის თანამედროვე შენობის „ბინადრებისთვის“, რომლებიც დანგრეული შენობების „წყალობით“ წარმატებით ფუნქციონირებდნენ?!*

*შეკითხვა მესამე: რა ნამუსით და ვისი ბრალით ჩაიდინეს აგრეთვე მძიმე დანაშაული იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც დაუჯერეს შპს „თეთრი ქალაქის“ უსინდისო ადმინისტრაციას და შეეცადნენ აემუშავებინათ ახალი ობიექტი, მაგრამ სრული ფიასკო განიცადეს, რადგან თავიდანვე არაადამიანურად მძიმედ დაიბეგრნენ ადმინისტრაციის მიერ და არ გაუწიეს არავითარი ანგარიში ამ უკანასკნელების თხოვნას, რომ დროებით მაინც შეემცირებინათ მათთვის საგადასახადო ტვირთი? ეს უნდა გაკეთებულიყო, რადგან მომხმარებელი ამ შენობას ახლოსაც არ ეკარებოდა და დღემდე არ ეკარება, რასაც მოჰყვა მოტყუებული დამქირავებლების მასობრივი გაკოტრება და ამ ობიექტის მიტოვება. შპს „თეთრი ქალაქის“ ადმინისტრაციიდან დირექტორს გარდა ვინ აგებს პასუხს ამ დანაშაულისათვის, რომელიც, ყველაფერთან ერთად, სერიოზულად არღვევს საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მოთხოვნებს ადამიანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით?!*

*ეს სამი შეკითხვა, ვგონებ, საკმაოზე მეტად სერიოზულია, ხოლო თუ ყველა დღეს არსებულ შეკითხვას რომლებიც მე და ზოგიერთ სხვა დაზარალებულ დამფუძნებელს, მძიმედ დაზარალებული დამქირავებლების, აგრეთვე ამ ტერიტორიაზე დასაქმებული ადამიანების მრავალრიცხოვან არმიას, რომელთაც მათი ოჯახის წევრებიც ემატებათ, გვიჩნდება, წერილობითი სახით ჩამოვაყალიბებთ, დიდად პატივცემული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთლიანი თორმეტი გვერდი არ ეყოფა. ამიტომ ამით ვამთავრებ და საქმიან წერილობით პასუხს ველოდები. თუმცა, ვეჭვობ, სამწუხაროდ, ეს ლოდინიც ფუჭი იქნება, როგორც მრავალი სხვა მცდელობა, მაგრამ ამაზე ალბათ სჯობს მომავალ პუბლიკაციებში ვისაუბროთ.*

**ა.გ.**

***რედაქციისაგან:*** *უკვე მერამდენედ ვბეჭდავთ ბატონ ანზორ გაბიანის წერილს ერთადერთი მიზნით — გამოვამზეუროთ ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან შპს „თეთრი ქალაქის“ გამართულ მუშაობას, და რომელთა გამოსწორებაც იქ დასაქმებული ადამიანებისთვისაც იქნება სასარგებლო, ბიუჯეტისთვისაც და მომხმარებლისთვისაც.*

*მაგრამ ჩვენი ძალისხმევა ამ ორგანიზაციის ადმინისტრაციამ მთლიანად უგულებელყო. არადა ამ წერილებში წამოჭრილი საკითხის აქტუალობას მოწმობს თუნდაც ის სამწუხარო ფაქტი, რომ ამ კომპლექსის ახალი ულტრათანამედროვე, ცხრასართულიანი, დაახლოებით 16000 კვ.მ. საერთო ფართის შენობა თითქმის ცარიელია, ყოველ შემთხვევაში მისი სამი მეოთხედი მაინც.*

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სარედაქციო კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ღია წერილებში მრავალი საგულისხმო მოსაზრება არის გამოთქმული კეთილი რჩევების ფორმით, რომლებიც ასეთ სრულ უგულებელყოფას არ იმსახურებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ წერილების ადრესატებზე ზედგამოჭრილია ბრძნული ქართული ანდაზა: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“.*

*ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ამ წერილების ავტორი ვიღაც ვიგინდარა კი არა, საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა, რომელიც, ყველაფერთან ერთად, აღიარებულია კრიმინოლოგიისა და ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიის ფუძემდებლად საქართველოში, არის თერთმეტი მონოგრაფიის, ორასამდე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატიის, ქართულ პერიოდულ პრესაში მრავალი პუბლიკაციის ავტორი...*

*სავარაუდოა, რომ კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრ „თეთრი ქალაქის“ დღევანდელ მესვეურებს, როგორც ჩანს, რაღაცაში სჭირდებათ ბატონ ანზორ გაბიანის მიმართ ასეთი არაადეკვატური პოზიციის დაჭერა და ა.შ. მაგრამ ამ ისტორიაში ყველაზე უფრო სამწუხარო და აღმაშფოთებელია ბატონ ანზორ გაბიანის წინააღმდეგ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების სამარცხვინო მეთოდების გამოყენება, რასაც საკმაოდ ფართოდ მიმართავენ შპს „თეთრი ქალაქის“ დღევანდელი მესვეურები.*

*რახან ჩვენი მცდელობა — შპს „თეთრ ქალაქში“ წესრიგის დამყარებაზე მოგვეხდინა დადებითი ზემოქმედება, უშედეგოდ დამთავრდა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ გადაწყვიტა, უფრო აქტიურად ჩაებას ადმინისტრაციასა და დამქირავებლებს შორის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ჩაატაროს ჟურნალისტური გამოძიება და მისი შედეგების შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს როგორც მკითხველები, ისე საქართველოს სათანადო სამართალდამცავი ორგანოები.*

რეიტინგი

# რა გვიშლის ხელს ბიზნესის დასაწყებად და რა გვეხმარება მის დახურვაში?

**როცა საქართველოში ეკონომიკური რეფორმების წარმატებაზე მაღალი ტრიბუნებიდან ლაპარაკობენ, თითქმის ყველა ორატორი მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ კვლევას „ბიზნესის კეთება 2010“ ასახელებს, რომლის რეიტინგის თანახმად ქვეყანამ მსოფლიოში მე-11 ადგილი დაიკავა 193 ქვეყანას შორის, რასაც ნაშრომის სტატისტიკაც მოწმობს. თუმცა ერთი კია: მარტო სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული შედეგი, შესაძლოა, რეალობას მთლად არ შეესაბამებოდეს, რადგან თავად „ბიზნესის კეთების“ საკითხი მეტად ფართოა და მრავლისმომცველი.**

აღნიშნულ კვლევაში, რომელსაც მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად ატარებს, ათი კრიტერიუმით დაფიქსირებული შეფასებაა მოცემული, რომელთა მთლიანი ჯამი საბოლოოდ რეიტინგში ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ ქვეყნის ამა თუ იმ ადგილს განსაზღვრავს. აუცილებელია ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ ათ კრიტერიუმში, ახალი ბიზნესის წამოსაწყებად, ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანი სულაც არ არის. აქედან გამომდინარე, „ბიზნესის კეთება 2010“ კვლევას თუ ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ, სამწუხაროდ, **საქართველომ რეიტინგში მე-11 ადგილი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატებული კრიტერიუმების ხარჯზე მოიპოვა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით უფრო მნიშვნელოვან კრიტერიუმებზე, როგორებიცაა, მაგალითად, ბიზნესის წამოსაწყებად აუცილებელი საკრედიტო რესურსის მოძიებისა და მიღების სიმარტივე.**



**პირველი კრიტერიუმი,** რომელიც აღნიშნულ კვლევაშია მოყვანილი, **ახალი ბიზნესის დასაწყებად საჭირო დროს, სხვადასხვა პროცედურებს, ხარჯსა და მინიმალურ საწესდებო კაპიტალს შეეხება.** ამ კრიტერიუმის თანახმად, საქართველოს მსოფლიოში მეტად მაღალი მეხუთე ადგილი უკავია, მაგრამ საქმე ისაა, რომ მარტო მეწარმედ დაფიქსირება, თავისთავად, ბიზნესის დაწყებადაა მიჩნეული, რაც ერთი და იგივე ნამდვილად არ არის; **მეორე კრიტერიუმი სამშენებლო ნებართვების მოსაპოვებელი პროცედურებისთვის საჭირო დროს, ხარჯსა და ა. შ. გულისხმობს.** აქაც საქართველოს საპატიო მეშვიდე ადგილი აქვს მოპოვებული, მაგრამ ამასთან ისიცაა აღნიშნული, რომ ქვეყანაში მშენებლობის ხარისხი, მისი სტანდარტებთან (მაგალითად, სეისმომდგრადობასთან, საშენი მასალების ეკოლოგიურ სისუფთავესთან და ა. შ.) შესაბამისობა „მთლად დამაკმაყოფილებელი“ არ არის; **მესამე კრიტერიუმი ეხება მუშახელის დაქირავებას, ამ პროცესის სირთულეს, დაქირავებულთა სამსახურიდან დათხოვნის სირთულესა და მასთან დაკავშირებულ ხარჯს.** ამ საქმეში (იგულისხმება მუშაკის დაქირავება-გაშვების სიმარტივე), საქართველოს ბევრი ქვეყანა ვერ შეედრება, ამდენად, მე-9 ადგილი იქნებ ცოტა ნაკლებიც იყოს, რადგან ჩვენში ყველაფერი დამსაქმებლის ნებაზეა დამოკიდებული, შრომის კოდექსი კი დაქირავებული მუშაკის ინტერესებს, ფაქტობრივად, არც იცავს – ყურადღება ხელშეკრულებებში ძირითადად მის მოვალეობაზეა გადატანილი; მომდევნო, **მეოთხე კრიტერიუმი საკუთრების დარეგისტრირებას, კომერციული უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ პროცედურებს, საამისოდ საჭირო დროსა და ხარჯს ითვალისწინებს.** ამ პოზიციაზე მთლად მე-2 ადგილზე ვიმყოფებით, რაც ყველაზე მაღალია სხვა კრიტერიუმების მიხედვით დაკავებულ ადგილებს შორის და, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ეს ადგილი სავსებით სამართლიანად გვაქვს მიკუთვნებული; რაც შეეხება **მეხუთე კრიტერიუმს, კერძოდ, კრედიტის აღების იურიდიულ მხარეს,** ამ მხრივ საქართველო უკვე 23-ე ადგილზე აღმოჩნდა. არადა ესაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, ვინაიდან, მოგეხსენებათ, სათანადო სახსრების გარეშე კაცი ვერანაირ ბიზნესს ვერ წამოიწყებს. ჩვენში ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს ბანკიდან კრედიტის მიღების პროცედურის სირთულე და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ფინანსური რესურსის სიძვირე, ანუ მაღალი საპროცენტო განაკვეთი; **ინვესტორთა დაცვას შეეხება გამოკვლევის მეექვსე კრიტერიუმი,** რაშიც საქართველოს 23-ზე კიდევ უფრო დაბალი, 48-ე ადგილი მიაკუთვნეს (და, ისრაელის ბიზნესწრეებთან ბოლო დროს ურთიერთობების საგრძნობ გაუარესებას თუ გავითვალისწინებთ, წლეულს, შესაძლოა, ეს 48-ე ადგილიც სანატრელი გაგვიხდეს). არადა ხელისუფლების მთელი რიგი წარმომადგენელი ინვესტორთა საიმედოდ დაცულობის სულმოუთქმელი მოქადაგეა, თუმცა შიდა და გარე პოლიტიკური საფრთხეების წინაშე მდგარ სახელმწიფოში, ქაღალდზე დაფიქსირებული კანონმდებლობა ინვესტორთა ინტერესების ავტომატურად დაცვას სულაც არ ნიშნავს; **რიგით მეშვიდე კრიტერიუმი გადასახადებს, კერძოდ კი მათ რაოდენობას, გადახდა-დაბრუნებისთვის საჭირო დროსა და სხვ. შეეხება.** ამ მხრივ, ჩვენი 12 გადასახადითა და 6 მოსაკრებლით, სადღაც რეიტინგის შუაგულთან ახლოს, 64-ე ადგილზე ვიმყოფებით. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადები, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო კრედიტის აღებასთან და ინვესტიციების უსაფრთხოების დაცვასთან ერთად, ბიზნესის წარმოება-განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია, რომელშიც შარშან აშკარად „მოვიკოჭლებდით“, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მეწარმისთვის ზედმეტად გადახდილი გადასახადის უკან დაბრუნება (ანუ დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა), დროში უზომოდ გაწელილი პროცედურა იყო. ახლა იმის იმედია, რომ ვითარება ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ნორმალური გახდება; **საერთაშორისო ვაჭრობის, ექსპორტ-იმპორტისთვის საჭირო დოკუმენტაციას, დროსა და ხარჯს ეხება გამოკვლევის მერვე კრიტერიუმი,** რომლის ნუსხაში საქართველო არც თუ მაღალ 30-ე პოზიციაზეა. სამწუხარო რეალობა ისაა, რომ ჩვენში საბაჟო პროცედურები მეტად გაურკვეველი და მერყევია, ხოლო თავად მებაჟეთა კვალიფიკაცია პროდუქციის იმპორტიორთა გაუთავებელი საჩივრების მიზეზია; **კომერციული დავების გადასაჭრელად საჭირო დროს, პროცედურების სირთულესა და ხარჯს შეეხება კვლევის „ბიზნესის კეთება 2010“ მე-9 კრიტერიუმი,** რომლის მიხედვით საქართველო 41-ე პოზიციაზეა. მხარეებს შორის დავებს ახალი გაცილებით მეტი დრო სჭირდება ვიდრე მაშინ (კერძოდ, 2004 წელს), როცა მათი გადაწყვეტა კერძო არბიტრაჟს ჰქონდა მინდობილი, თუმცა ეს ამბავი დიდხანს არ გაგრძელებულა; და ბოლოს, **ბიზნესის დახურვასა და გაკოტრების პროცედურებს შეეხება, გამოკვლევის მეათე კრიტერიუმი,** რომლის მიხედვით ჩვენ ყველაზე დაბალი, 95-ე ადგილი გვერგო. ამის მიზეზი აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით კანონმდებლობის უკიდურესი მოუქნელობაა და ის, რომ თუ ჩვენს უკან კიდევ ასზე მეტი ქვეყანაა, მათ შორის ჰაიტი, კაბო ვერდე და რუანდა, საქართველოსთვის მაინცდამაინც დიდ წარმატებად არ უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ვხედავთ, კვლევაში „ბიზნესის კეთება 2010“ მე-11 ადგილი არც მაინცდამაინც დიდად სატრაბახოა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პარამეტრის უკიდურესი დაბალი მაჩვენებლის გამო და ამ მხრივ, ერთი გაპიარებული თქმისა არ იყოს, „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“.

**ოთარ ტურაბელიძე**

SIC!

# რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ოკუპირებული ტერიტორიები არ აღიარა

**ამის შესახებ „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა, დეპუტატმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა.**

**— პატრიარქის მიერ სინოდის გადაწყვეტილებით თავის ტიტულში ცხუმ-აფხაზეთის და ბიჭვინთის ჩართვა იმპულსური გადაწყვეტილება არ ყოფილა, ეს იყო კარგად გათვლილი დიდი პროექტის განხორციელების დასაწყისი. თუ მივადევნებთ თვალს, როგორ ვითარდება მოვლენები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და რამდენად შემაშფოთებელია ტენდენცია ქართული სულიერების ძეგლებთან მიმართებაში, ამ დროს მისი უწმინდესობა აცხადებს, რომ აპირებს თავისი ეპარქიის მონახულებას, რის შემდეგაც უკვე მოსკოვში საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია ქართველების და რუსების მოლაპარაკების დაწყების მკაფიო მესიჯით მიემგზავრება და სავარაუდოდ იქვე გადაწყდება და შეთანხმდება პატრიარქის აფხაზეთში ვიზიტიც, — აღნიშნა ლალიაშვილმა.**

**მისივე შეფასებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გავლენა მართლმადიდებლურ სამყაროში იმდენად დიდია, რომ მის წინაშე იშლება არ მხოლოდ პოლიტიკური საზღვრები, ასევე ეთნიკური და სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებიც კი ფერმკრთალდება.**

**— თუნდაც ავიღოთ უზარმაზარი გავლენა რუსეთის ფედერაციაში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის, რომელმაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები არ აღიარა. ეს საქართველოს პატრიარქის გავლენის შედეგებია. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ისევე მიიღებენ ამ უდიდეს სულიერ ლიდერს, როგორც მას მიიღებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, — დასძინა დეპუტატმა.**

**რაც შეეხება პატრიარქის უსაფრთხოების დაცვის საკითხს, ლალიაშვილის თქმით, მაშინ, როდესაც პატრიარქი ცეცხლმოკიდებულ გორში შევიდა მარტო დაუცველობის შიში მას არ ჰქონია, თუმცა თუ აფხაზეთში ვიზიტის შეთანხმება მოხდა, მისი ფიზიკური უსაფრთხოება გარანტირებული უნდა იყოს.**

**შეგახსენებთ, რომ გუშინ მოსკოვში საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია გაემგზავრა, რომელიც შეხვედრას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილთან გამართავს.**

**წინასწარი ინფორმაციით, ქართული დელეგაცია აფხაზეთში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტის საკითხსაც დააყენებს.**

# „სომხეთი ჯავახეთში კონფლიქტის გაჩაღებას ცდილობს“

**საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორის, პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის შეფასებით, „სომხეთი ჯავახეთში კონფლიქტის გაჩაღებას ცდილობს“.**

**„ჯავახეთში სომხების ექსპანსია მე-19 საუკუნიდან, მას შემდეგ მიმდინარეობს, რაც რუსმა გენერალმა პასკევიჩმა 40 000 სომხური ოჯახი თურქეთიდან ჯავახეთის რაიონში ჩამოასახლა. ასე მოხდა აფხაზეთშიც. მეფის და კომუნისტური რუსეთი ყოველთვის დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველოს დამორჩილების ყველაზე საიმედო გზა იქ სომხების დასახლება იყო. სომხები ყოველთვის რუსების გამტანები იყვნენ. როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის სომხები რუსეთის მორჩილები იყვნენ, — ამაშია მთელი ისტორია. როცა აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, სომხებმა იქ ბაგრამიანის ორი ბატალიონი შექმნეს, რომლებიც ყველაზე დიდი სისასტიკით გამოირჩეოდნენ. იგივეს გაკეთებას ახლა ჯავახეთში ცდილობენ. მათ იქ კონფლიქტის გაჩაღება სურთ, რათა სისხლი დაიღვაროს. მათ თავისი დიასპორის იმედი აქვთ, რომელიც შემდეგ ავტონომიას მოითხოვს, მაგრამ ვფიქრობ, ეს ნომერი ახლა არ გაუვათ, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება სიტუაციას აკონტროლებს. ადამიანის უფლებების არავითარ დარღვევას ჯავახეთში ადგილი არ აქვს, უბრალოდ სომხები პროვოკაციების მოწყობას ცდილობენ“,** — განაცხადა ცინცაძემ „DAY.AZ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში და აქვე დასძინა, რომ **„ჯავახეთის სომხების „ბროლის ოცნებას“ ავტონომიის შექმნა, შემდეგ მისი სომხეთისთვის მიერთება და ასე „დიდი სომხეთის“ შექმნა წარმოადგენს“.**

**ნინო ჩიჩუა,**
პირველი

ინფორმაცია

## სეპარატისტულ აფხაზეთში მოსახლეობის აღწერა დასრულდა

**აფხაზური მედიის ინფორმაციით, აღწერის წინასწარი შედეგები 20 მარტის შემდეგ იქნება ცნობილი.**

**— ჩვენ ჯერჯერობით კიდევ ოთხი საკონტროლი დღე გვაქვს, რომელთა განმავლობაშიც სახელმწიფო სტატისტიკის ინსტრუქტორები გადამწერების მიერ წარმოდგენილ მასალებს გადაამოწმებენ, — აცხადებს აფხაზეთის ე.წ. სტატისტიკის სამმართველოს უფროსი ზოია ავიძბა.**



**აღწერა სეპარატისტულ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობისა 21 თებერვალს დაიწყო და 28 თებერვალს დასრულდა.**

**აფხაზური მედია ასევე იუწყება, რომ დამკვირვებლების სტატუსით აღწერაში მონაწილეობა მიიღეს დამკვირვებლებმა რუსეთის სტატისტიკის სამინისტროდან, ადიღედან, დონის როსტოვიდან და კრასნოდარიდან.**

**სულ აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე მუშაობდა 68 გადამწერი და ორგანიზებული იყო 720 გადამწერი უბანი.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი დასავლეთს მოსკოვისგან დაცვას სთხოვს

**ორშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოვიდა განცხადებით, რომელშიც მოუწოდა მსოფლიო გაერთიანებას, რეაქცია მოახდინოს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენელთა პროვოკაციულ განცხადებებზე თავის ქვეყანასთან დაკავშირებით. საგარეო-პოლიტიკური უწყების მოწოდება გამოიწვია ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ალექსანდრ ტორშინის განცხადებამ, რომელმაც ბრალი დასდო ოფიციალურ თბილისს „დომოდედოვოს" ტერაქტში მონაწილეობასთან დაკავშირებით, და ნაწილობრივ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ამასწინანდელ განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს დამუქრების გამო 2014 წელს სოჭში ოლიმპიური თამაშების დროს**

ალექსანდრ ტორშინმა ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა პარასკევს „როსიისკაია გაზეტაში", განაცხადა: „ტერორისტული აქტი, დარწმუნებული ვარ, ორგანიზებული იყო უცხოეთიდან... ჩემი აზრით, ეს იყო საქართველო და მისი მმართველი რეჟიმი. სააკაშვილი არ ფარავს თავის ზიზღს ჩვენდამი. მან ანტირუსული განწყობილებანი გადააქცია კონკურენტიან საქონლად, რომელსაც ჰყიდის. ქართული ღვინო უცხოეთის ბაზარზე სუსტად იყიდება, თავისიც ბევრი აქვთ, რუსოფობია კი მოთხოვნით სარგებლობს. უმაროვიც ტერორისტული აქტის ორგანიზაციისთვის სააკაშვილის რეჟიმს არ სჭირდებოდა, ვინაიდან არის ოსი გამყიდველი სანაკოევი და მისი აგენტურა..."

ამ განცხადებას პირველები გამოეხმაურნენ საქართველოს პარლამენტში. „ჩვენ უკვე მოვისმინეთ ბრალდების შესახებ „დომოდედოვოში" განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებით. იქ საუბარი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებზე, თურქეთზე და ახლა უკვე საქართველოა... ჩვენ ვგმობთ ყოველგვარ ტერორისტულ აქტივობას, ვისგანაც უნდა მოდიოდეს იგი. საქართველო მზად არის, მიიღოს ნებისმიერი არგუმენტაცია ნებისმიერი პირის მონაწილეობასთან დაკავშირებით ამ ტერორისტულ აქტში", – განაცხადა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა. მან მოუწოდა რუსეთის მხარეს, წარმოადგინოს შესაბამისი დადასტურებანი. საპარლამენტო უმრავლესობის მეორე წარმომადგენელმა გიორგი გაბაშვილმა ტორშინის „უნიადაგო ბრალდება" დაახასიათა „როგორც უპრეცედენტო თავხედობა საქართველოს დისკრედიტაციის მიზნით საერთაშორისო არენაზე". ამის შემდეგ ინიციატივა გადავიდა საგარეო საქმეთა სამინისტროზე.

ორშაბათს მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ მომხდარის კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ამგვარი არასერიოზული განცხადებების უკან შეიძლება იდგეს უფრო სერიოზული ჩანაფიქრები". „ეს არის რუსეთის სპეცსამსახურების პროპაგანდის ნაწილი, რომლის მიზანიც თავად რუსეთში არასასურველი ვითარების გამო ყურადღების სხვა პროცესებზე გადატანაა. ამ შემთხვევაში საკითხი შეეხება მიზანდასახულ პროვოკაციას და ეს პირველი ასეთი შემთხვევა როდია", – თქვა კალანდაძემ და ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „რუსეთის სამართალდაცვის ორგანოებს, რომლებიც აწარმოებენ „დომოდედოვის" ტერორისტული აქტის გამოკ-




ვლევას, დღემდე ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ „ქართული კვალის" შესაძლებლობის შესახებ". „და როდესაც ამ ფონზე მაღალი რანგის პოლიტიკოსი გამოდის ასეთი ბრალდებით, ეს შეიძლება უკვე მოწმობდეს უფრო სერიოზული ჩანაფიქრის არსებობის შესახებ. ამიტომ ამგვარ პროვოკაციაზე რეაგირება უნდა მოვახდინოთ არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მივაქციოთ მათზე საერთაშორისო გაერთიანების ყურადღებაც", – მიაჩნია კალანდაძეს.

თბილისის ყურადღების მიღმა არ დარჩა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ამასწინანდელი განცხადებაც, რომელიც მან გააკეთა სოჭში ოლიმპიური სამთო-სათხილამურო ტრასის გახსნის დროს. მაშინ რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა ქვეყნის სამართალდაცვის ორგანოებს სიფხიზლისკენ: „თქვენ თავად ყველაფერი გესმით, აქ არის გარკვეული პრობლემებიც, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს მეზობელთან – საქართველოსთან, ამიტომ ყველაფერი, რაც მოითხოვს გაზრდილ ყურადღებას საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამართალდაცვის ორგანოების, ძალოვანი სტრუქტურების ხაზით, უნდა გაკეთდეს ყურადღებით, და ნებისმიერი პროვოკაციის გზაზე უნდა შევქმნათ საიმედო დაბრკოლება".

საქართველოს მხარემ ეს ბრალდება უარყო, განაცხადა, რომ ოლიმპიადის გამართვას ის წინააღმდეგობას არ გაუწევს. კერძოდ, გასულ უქმე დღეებში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის რუსულენოვან ტელეარხ „პირველ კავკასიურ საინფორმაციოს" განუცხადა: „საქართველო ფიზიკური თვალსაზრისით ნულოვან საფრთხეს წარმოადგენს სოჭის ოლიმპიადისთვის... ეს არა მხოლოდ არ შეესაბამება ჩვენს გეგმებს, არამედ ჩვენს შესაძლებლობებსაც". მან შეგვახსენა, რომ „2007 წელს საქართველომ პოლიტიკურ დონეზე ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი გადაწყვეტილებას ოლიმპიადის გამართვის შესახებ სწორედ სოჭში". „მაშინ მე მიმაჩნდა, რომ ეს საშუალებას მოგვცემდა, გვერდი აგვევლო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ისეთი ნეგატიური ტენდენციებისთვის, რომლებიც ისედაც უკვე ცხადი იყო", – თქვა მან. ამავე დროს სააკაშვილმა აღნიშნა, რომ „სოჭის ოლმპიადასთან დაკავშირებით რუსეთს აქვს პოლიტიკური პრობლემა, ვინაიდან საქართველოს აფხაზეთის რეგიონში – სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრში ოლიმპიური თამაშების გამართვის ადგილიდან – რუსეთმა ოფიციალურად პოლიტიკურ დონეზე მოახდინა ეთნიკური წმენდის ლეგალიზება".

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფაქტობრივად მოგვიწოდა, მეტად სერიოზულად მოვეკიდოთ არასასურველ განცხადებებს, რომლებიც გაისმის რუსეთში. „ყველანაირად უნდა ვეცადოთ, გამოვნახოთ საერთო ენა რუსეთთან და აღვადგინოთ ნორმალური ურთიერთობანი რუსეთის ფედერაციასთან... ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებია საქართველოსთვის – როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით", – მიაჩნია საქართველოს პოლიტიკის პატრიარქს.

მაგრამ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას სიტუაციის სხვაგვარი ხედვა აქვს. „ადრე თუ გვიან კეთილმეზობლური ურთიერთობანი ორ ქვეყანას შორის აღდგება ორივე სახელმწიფოს სახელმწიფო ინტერესების საფუძველზე... დიპლომატიური ურთიერთობანი ორ ქვეყანას შორის აღდგება, როგორც კი მოხდება საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია. როგორც კი შეწყდება ოკუპაცია რუსეთის მხრიდან, ჩვენ რუსეთის ფედერაციასთან აღვადგენთ ურთიერთობას და კვლავ გავხდებით მეგობრები", – თქვა სააკაშვილმა ზემოაღნიშნულ ტელეინტერვიუში.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# BBC სამხრეთაფრიკელ ფერმერებთან ერთად საქართველოში

**BBC-ის კავკასიის კორესპონდენტი დემიენ მაკგინესი ქართული სტუმართმოყვარეობით მიღებულ საკუთარ გამოცდილებას იხსენებს, როდესაც მისი გუნდი მიწების გაყიდვის სადავო სქემაზე რეპორტაჟის მომზადების დროს ძარბუქში მოხვდა**

სტუმარი ღვთისაა, ამბობენ კავკასიელები. რა თქმა უნდა, საქართველო სამხრეთ აფრიკელ ფერმერებს უბრალო სტუმართმოყვარეობაზე მეტს სთავაზობს.

და ეს არის ის, რაც ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ, ვიდრე ვიღებდით ფილმს იმის შესახებ, თუ როგორ ესტუმრა დაახლოებით 90 თეთრკანიანი სამხრეთაფრიკელი ფერმერი საქართველოს, მას შემდეგ, რაც ისინი მთავრობამ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გასაყიდი მიწების დასათვალიერებლად მიიწვია.

### კონტინენტების შეცვლა

ბევრი მათგანი ამბობს, რომ ისინი სამხრეთ აფრიკაში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ. მას შემდეგ, რაც 1994 წელს აპარტეიდი დასრულდა, 3 000–ზე მეტი თეთრკანიანი სამხრეთაფრიკელი ფერმერი მოკლეს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მიწის რეფორმის ფარგლებში, სამხრეთ აფრიკის მთავრობა მათ საკუთარი ფერმების საბაზრო ფასზე იაფად გაყიდვას აიძულებს.

„მთავრობა შეიძლება მოვიდეს თქვენთან და გითხრათ, ეს არის ის, რასაც ჩვენ თქვენს ფერმაში გადავიხდით და თქვენ მოგიწევთ მისი გაყიდვა", გვიხსნის ჯოან სვარტი. „თქვენ შეიძლება ყველაფერი დაკარგოთ".

ის საქართველოში მეუღლესთან და მშობლებთან ერთად გასაყიდი ფერმების დასათვალიერებლად ჩამოვიდა. საქართველოს მთავრობა მათ აძლევს რჩევებს, თუ სად იყიდონ მიწები და როგორ დამკვიდრდნენ აქ.

მთავრობა მზადაა მიწის ფასებიც შეამციროს, თუკი სამხრეთაფრიკელი ფერმერები საქართველოში სამუშაო ადგილებს შექმნიან.

### ჩაშლილი გეგმები

ოპონენტები ამბობენ, რომ მსგავსი მხარდაჭერა საკუთარი მთავრობისგან ქართველ ფერმერებს არ აქვთ. ყოფილ საბჭოთა კავშირში, ფერმები კოლექტივის საკუთრება იყო, ამიტომ ბევრმა ფერმერმა ტრადიციული უნარები დაკარგა. იმისთვის, რომ ხელახლა პროდუქტიულები გახდნენ, მათ კონსულტაცია და იაფ კრედიტებთან ხელმისაწვდომობა სჭირდებათ.

ზოგიერთები შიშობენ, რომ უფრო მდიდარი უცხოელი ფერმერების მოზიდვა ქართველ ფერმერებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

მაგრამ რადგან მანქანით ფერმერთა ავტომობილების კოლონას მთიან თოვლიან გზებზე უკან მივყვებოდით, ჩვენს ერთადერთ საზრუნავს მხნეობა წარმოადგენდა. გამცილებლების ორიგინალური გეგმა, რომ ერთ საათში გავჩერებულიყავით და ინტერვიუ ჩაგვეწერა, ჩაიშალა.

იმ დროისთვის, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, გავჩერდით (შავი ზღვის სანაპირო ქალაქ ბათუმთან ახლოს, სადაც სამხრეთაფრიკელებს ღამე უნდა გაეთიათ), ჩვენ მთელს ქვეყანაში ირგლივ თითქმის 400 კილომეტრი გვქონდა გავლილი.

### ჯადოსნური ტელეფონი

როდესაც უკან თბილისში კვლავ მთების გავლით ვბრუნდებოდით, უფრო მეტი თოვლი დაგვხვდა და პროგრესი შენელდა. საბოლოოდ უღელტეხილზე გავჩერდით – ეს ერთადერთი გზაა, რომლითაც თბილისში მოხვედრა შეიძლება.

პოლიციამ გზა გადაკეტა და გვითხრა, რომ მხოლოდ ჯიპებით გაგვატარებდა. ვიფიქრე, რომ ამ ადგილას შუაღამით ჯიპის შოვნა, ძალიან გაგვიჭირდებოდა.

თუმცა, ამ სიტუაციაში ჩვენი კოორდინატორის მარიამის შნოს იმედი მქონდა, რომელსაც, ჩემი აზრით, ჯადოსნური მობილური ტელეფონი ჰქონდა. მან რამდენიმე ადგილას დარეკა. „მეგობარს ჰყავს ჯიპი, რომლის გამოგზავნაც მძღოლთან ერთად შეუძლია", თქვა მან. ჩვეულებრივ საქართველოში პრობლემათა უმრავლესობის გადამწყვეტი „მეგობარი" ან „ნათესავია". ამაზე დეტალურ ინფორმაციას, იშვიათად თუ მიიღებ.

### პოლიციის ესკორტი

იმ დროისთვის, როდესაც ჯიპი მოიყვანეს, შუაღამე იყო, თოვლის რაოდენობა გაიზარდა და გზა მთლიანად დაიკეტა. იმის გამო, რომ ახლომახლო სასტუმრო არსად იყო, ჩვენგან ხუთს იმ მანქანაში უნდა დაეძინა, სადაც ტექნიკა ინახებოდა.

მარიამმა თავისი ჯადოსნური ტელეფონით კიდევ ერთხელ დაურეკა ვილაცას, რომელმაც მას უთხრა, რომ იქვე ახლო სასაზღვრო ბარაკები იყო, სადაც ჩვენ უფასოდ შევძლებდით ღამის გათევას. უცბად, პოლიციის მანქანების კოლონა გამოჩნდა, რომლებსაც ჩვენ სოფლის გავლით ბარაკებისკენ უნდა მივეცილებინეთ.

ვფიქრობდი, რომ ზედმეტად ჭუჭყიანი, დაღლილი და უბირი იერი გვქონდა და ასეთ ყურადღებას არ ვიმსახურებდით.

### კეთილგანწყობილი კულტურა

მეორე დღეს გზა კვლავ ჩაკეტილი იყო, მაგრამ საზღვრის დაცვის თანამშრომელმა ჯიპში გვითხრა, რომ თბილისში მაინც ჩაგვიყვანდა.

მან გვერდი აუარა გზის ჩაკეტილ ნაწილს და მეორე, მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს გადავიდა, თან ჩვენი მიმართულებით მომავალ მანქანებს სიგნალით აფრთხილებდა – მისთვის გზა გაეთავისუფლებინათ.

თბილისში 24 საათით გვიან დავბრუნდით, რაც ქართული სტანდარტებითაც კი სერიოზული შეფერხებაა. მაგრამ ის, რომ საერთოდ დავბრუნდით და ღამეც კარგად გვეძინა, მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობის დამსახურებაა.

მიუხედავად შიდა წინააღმდეგობისა, რომელიც მთავრობის ინიციატივას ახლავს, ბევრი სამხრეთაფრიკელი, ვისაც ვესაუბრეთ, დახვედრით ანალოგიურად მოიხიბლა. რეგიონში მიღებული გამოცდილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მათ, ვინც აქ დასახლებას გადაწყვეტს, თბილად მიიღებენ.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**მომღერალმა ნელი ფურტადომ უარი თქვა მილიონზე, რომელიც კადაფისგან მიიღო**

„2007 წელს მე მივიღე ერთი მილიონი დოლარი იმისთვის, რომ 45 წუთის განმავლობაში გამოვდიოდი კადაფის კლანის წინაშე იტალიის ერთ-ერთ სასტუმროში. განზრახული მაქვს ეს ფული დავხარჯო საქველმოქმედო მიზნებისთვის", – დაწერა კანადელმა მომღერალმა თავის წერილში. კადაფისთვის ასევე გამოდიოდნენ ბიიონსე, აშერი და ლაიონელ რიჩი.

* * *

**2014 წლის თამაშების თილისმის როლზე პრეტენზია აქვს გაურკვეველ ცხოველს, აცხადებენ ეკოლოგები**



თუ კურდღელთან და თეთრ დათვთან დაკავშირებით ყველაფერი, ასე თუ ისე, გასაგებია, თუმცა ეს უკანასკნელი ეკოლოგებს აგონებს თეთრად შეღებილ მურა დათვს, ლეოპარდთან დაკავშირებით მათ გაუჩნდათ სერიოზული ეჭვი.

* * *

**დაიწყო ბილეთების გაყიდვა ევრო-2012 წლის მატჩებზე**



1 მარტიდან დაიწყო ბილეთებზე შეკვეთების მიღება ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე, რომელიც უნდა გაიმართოს პოლონეთსა და უკრაინაში 2012 წლის ზაფხულში. კიევსა და ვარშავაში გათვალისწინებულია საზეიმო ღონისძიებანი ამასთან დაკავშირებით.

* * *

**კომის ოპერის თეატრში მსახიობებმა რეპეტიციაზე სერიოზული ტრავმები მიიღეს**

რეჟისორის ჩანაფიქრით, სამი მსახიობი უნდა ასულიყო თოკის კიბეზე, მაგრამ რეკვიზიტმა ვერ გაუძლო წონას და ძირს ჩამოვარდა ადამიანებთან ერთად. ერთ-ერთ მსახიობს აქვს ფეხის მოტეხილობა, მეორეს ხერხემლის დაზიანება და ტვინის შერყევა, მესამეს – ტვინის შერყევა.



თვალსაზრისი

# ემღვნება „სამშობლოს მოღალატეებს“...

**ნიუ-იორკში რუსულ ენაზე ალექსანდრე ლიტვინენკოს მეგობარ ალექს გოლდფარბის წიგნი „საშა, ვოლოდია, ბორისი... მკვლელობის ისტორია“ დაისტამბა. წიგნის შექმნაში აქტიური მონაწილეობა ფეესბეს ყოფილი ოფიცრის ქვრივმა მარინა ლიტვინენკომაც მიიღო. გამოცემა გახლავთ გოლდფარბის 2007 წელს ინგლისურად გამოცემული წიგნის „დისიდენტის სიკვდილი“ შევსებული თარგმანი.**

წიგნი ერთგვარი მცდელობაა ლიტვინენკოს ორი ახლობელი ადამიანისა თქვან ის, რისი თქმაც ალექსანდრე ლიტვინენკოს არ დასცალდა. ფაქტობრივად, „მკვლელობის ისტორია“ თვითმხილველთა თვალით დანახული რუსეთის ისტორიის ის ხანაა, რომელიც ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ორი ფიგურის – პუტინისა და ბერეზოვსკის მეგობრობა-მტრობით წარიმართა. მასში, ბუნებრივია, დაწვრილებითაა აღწერილი ლიტვინენკოს ინგლისში გაქცევისა და მისი პოლონიუმით მოწამვლის ამბავი. წიგნი ეძღვნება საშა ლიტვინენკოსა და „სამშობლოს ყველა მოღალატეს“, პირველსავე ფურცლებზე კი როგორც კლასიკურ პიესაში, ჩამოწერილია მოქმედი გმირები – ვინ ვინ არის და ვინ რომელ ჯგუფში „გადანაწილდა“: ჩეკისტების, დისიდენტების, ამბოხებულების, ოლიგარქების,




ლიბერალების, ბნელეთის მოციქულების, პარტიზანების, ტერორისტების, ემიგრანტებისა თუ განგსტერების. ყველა სახელდებითაა ჩამოთვლილი.

ამას წინათ ბრუკლინის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში „საშა, ვოლოდია, ბორისი... მკვლელობის ისტორიის“ პრეზენტაცია გაიმართა. ამ ნიუ-იორკული „პრემიერით“ წიგნმა მის ავტორებთან ერთად აშშ-ში მოგზაურობა დაიწყო. ავტორებისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის დანახვა, რომ ადამიანებმა ამერიკაში არ დაივიწყეს თუ რა მოხდა შორეულ ევროპაში 2006 წელს და იმასაც აცნობიერებენ, თუ როგორი დემოკრატიაა თანამედროვე რუსეთში.

**– თქვენი მეუღლის მკვლელობიდან 4 წელი გავიდა. უპასუხებს თუ არა ეს წიგნი ამ დროის განმავლობაში დაგროვილ კითხვებს? –** ვკითხე მარინა ლიტვინენკოს.

– მართლაც, საშას სიკვდილის შემდეგ ბევრი კითხვა დაგროვდა, ამიტომ ამ წიგნის გამოცემით მე და ალექსი შევეცადეთ ის ფაქტები გაგვეცნო მკითხველისთვის, რომელიც ყველასათვის ცნობილი არაა.

**– მახსოვს ჩემთან საუბრისას მან არაერთხელ გახსენათ და ისიც დასძინა, რომ რახან ეს ჯოჯოხეთი მასთან ერთად გაიარეთ, მისთვის აღმოჩენა იყო თუ როგორ გყვარებიათ...**

– მე და საშას საკმაოდ რთული ცხოვრება გვქონდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც იგი, ფაქტობრივად, მთელი რუსეთის ფეესბეს დაუპირისპირდა, მაგრამ ჩვენ ერთად მაინც ბედნიერნი ვიყავით. ჩვენთვის ერთად ცხოვრება უბრალო ცოლ-ქმრული მიჩვევა არ იყო. ყოველდღე გვიხაროდა ერთმანეთი. ბოლო წუთამდე არ მეგონა თუ მიმატოვებდა. უბრალოდ მეგონა, რომ ავად იქნებოდა. როგორი, რანაირი დაავადებაც არ უნდა ჰქონოდა, გავუძლებდი, ოღონდ არ მომკვდარიყო. არაფრით მეგონა, თუ ხელიდან გამოგვეცლებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ სიცარიელეა ჩემს გულში. თუმცა არა ვარ საზოგადო მოღვაწე, მაგრამ ის, რაც ჩემს შესაძლებლობებშია, გავაკეთებ. ვისაუბრებ, ხალხს გავაგებინებ თუ როგორია რუსეთის რეალური სახე. მაინც მწამს, რომ სამართალი გაიმარჯვებს. შეიძლება – მიამიტურადაც... საშაც, გარკვეულწილად, მიამიტი იყო...

**– ლუგოვოის ექსტრადირება უკვე მერამდენე წელია არ ხერხდება. პირიქით, ეს კაცი რუსეთში დააჯილდოვეს კიდეც...**

– რასაკვირველია, მისი ექსტრადირება რთული საკითხია, მაგრამ მისთვის ეჭვმიტანილის სტატუსი არავის მოუხსნია. საუბარია არა მარტო ბრიტანეთზე. პოლონიუმმა თავისი კვალი გერმანიაშიც დატოვა.

**– საშამ ბრიტანეთის მოქალაქედ გახდომა მოასწრო?**

– ცნობა, რომ შეგვიძლია გავხდეთ ბრიტანეთის მოქალაქე 13 ოქტომბრამდე მივიღეთ. მაგრამ საშას რუსეთის მოქალაქეობაზე უარი არ უთქვამს. ყოველ შემთხვევაში იმ დღეებში ამას არ აპირებდა.

**– სიკვდილის წინ საშას გამუსლიმანებამ ბევრი მითქმა-მოთქმა შვა...**

– ვფიქრობ, რომ რელიგიის შეცვლის გადაწყვეტილება მან ემოციურ ტალღაზე მიიღო. ჯვარი არასოდეს მოუხსნია. ისრაელში რომ იყო, იქიდან ძალიან ემოციურად დატვირთული ჩამოვიდა. როცა მოწამლეს და საავადმყოფოში დააწვინეს, სურათი უნდა გადაეღოთ მისთვის და ჯვარი მოხსნეს. ის ჯვარი ახლა მე მაქვს შენახული. ერთხელ აჰმედ ზაკაევი მოვიდა მასთან. აჰმედი მას ძალიან ეხმარებოდა, სულიერად ამხნევებდა და რაღაც წაუკითხა ყურანიდან. საშამ უცებ თქვა, ახლა მუსლიმანი ვარო? ზაკაევმაც – რატომაც არაო, განა, ამით სხვა ადამიანი გახდებიო? მერე, როცა საშა უკვე ძალიან ცუდად იყო, ზაკაევმა ახალგაზრდა იმამი მოიყვანა, უთხრა, ხომ შეგპირდიო, ჰოდა, ახლა ნამდვილი მუსლიმანი გახდებიო და 3 წუთში საშა მუსლიმანი გახდა. ეს მისი გადაწყვეტილება იყო. დავასაფლავეთ ლონდონის ცნობილ, დახურულ სასაფლაოზე „ჰაიგეითი“, სადაც კარლ მარქსი და ჯორჯ ელიოტი განისვენებენ...

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

ხუმროზაგაშვებით

**სიმართლე გითხრათ, ტუნისში რომ ქარიშხალმა გადაიარა, დაჩაგრულ-დაბეჩავებულნი რომ აუჯანყდნენ სულთამხუთავ დესპოტს და ლაზათიანად ამოკრეს ჭიტლაყი, ამ ამბავს ცალყურად ვისმენდი, თავიც არ ამიტკივებია – ჩემი ქვეყნისა და ხალხის გაჭირვება მეყოფა-მეთქი.**

აი, ეგვიპტელებიც რომ აბუნტდნენ, ამასაც გვიან მოვკარი ყური. თითქოს არც ის მანაღვლებდა, მაგრამ რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე პირდაპირ რეპორტაჟს შევესწარი და, იმან, რაც იქ ხდებოდა, ისე ამაღელვა, ასე მეგონა, ეს ხალხი თავის დიქტატორს კი არა,

## გაუმარჯოს დემონსტრაციას!

ჩემს დესპოტ პრეზიდენტს ებრძოდა.

არადა, აფრიკელები არ ცხრებიან, აგერ ალჟირი, იემენი, ლიბანი, ბახრეინი... ზღვას რომ ქარი შეუჩნდება დაააყელყელავებს, ააზვირთებს, ისე მოიწევს და მოიწევს, თითქოს გვიახლოვდება კიდეც, მაგრამ...

საქმეში ღრმად რომ ჩავიხედო, ჩვენთან ვითარება ბევრად რთულადაა. ცნობილი ამბავია. ცხოვრებაში ბედი ერთხელ მოგცემს შანსს, თუ მას ყელში არ სწვდი, გაგექცევა და უყარე კაკალი. აბა სხვა რა იყო, ის 300-ათასიანი აზვირთება, ისიც დასაკარგავში, ლამის ქალაქს გარიდებულ ჰიპოდრომზე. თურმე იქ განზრახ გადაგვისროლეს, ვერ მივლენო, მაგრამ მივედით კი არა, გადავიქუხილეთ. ეგვიპტეში 87 მილიონი ცხოვრობს, იქ მილიონი თუ გამოვიდა, ჩვენ რაღაც სამმილიონიან ქვეყანაში, ვინც გამოვედით, მომიტინგე ტუნისელებზეც და ეგვიპტელებზეც მეტნი ვიყავით.

მერე რა ჩიტი დავიჭირეთ! ვალაქლაქეთ ეს ჩვენი სვებედნიერი პარტიული ლიდერები! პარადი რომ პადოშას მიჰყავდა! არადა, ამ „ბელადებს“ ის ხომ უნდა სცოდნოდათ, ვინ მოსყიდული იყო, ვინ – გამცემი. ისე ვერც ჩვენ ვივარგეთ, თორემ ესენი რაში გვჭირდებოდნენ. იქიდან რომ დავძრულიყავით, პარლამენტამდე ორჯერ სამასი ათასი ხომ ჩავგუგუნდებოდით!

იღბალს ვერ დავემდურებით, შანსი მერეც ხომ მოგვეცა. თუნდაც 26 მაისის დინამოს სტადიონი. ჩვენისთანა პატარა ერს კი არა, ჩინეთსაც შეშურდებოდა ხალხის ასეთი მოზღვავება, შემართება, ერთსულოვნება...

მერე რა, გამოგვადგა, რო?

ქართველობას კი ჯიუტად არ სურს მიტინგზე მისვლა, რამაც დიდად დაამწუხრა ოპოზიციის ლიდერები.

კი ამბობენ, აფრიკაში მოგიზგიზე ცეცხლი ჩვენთან აქლემით ჩამოვაო, მაგრამ საამისო ჯერ არაფერი გვეტყობა. არადა, შიმშილი ნელ-ნელა გვიჭერს ყელში, სხვა უბედურებებზე უკვე აღარაა ლაპარაკი.

ამ დილემით დამძიმებული, რაღაც გამოსავლის ძებნაში თავს რომ ვიმტვრევდი, მობილურიც ამიმღერდა.

ლექსო იყო – სადილის დროა, ერთად ხომ არ წავიხემსოთო. აბა, ასეთ წინადადებაზე უარს ვინ იტყვის. ჰოდა, ვზივართ მაგიდასთან, მაგრამ ეტყობა თავ-პირი, ჩამოგვტირის.

– რა იყოო, – შეშფოთდა ჩემი თანამეინახე.

– მეტი რა უნდა იყოს, ქვეყანა დაიქცა, შიმშილი, წყურვილი, ეგ არაფერი მაგრამ ჯიშ-ჯილაგიანად ამოძირკვას გვიპირებენ, ხალხმა კი ოპოზიციის ვაილიდერების ნდობა დაკარგა და მიტინგის გაგონება არ უნდა! – მივაყარე და მივაყარე.

– შე კაცო, ხალხის ქუჩაში გამოყვანას რა უნდა? მიტინგზე არ მიდიან? დემონსტრაცია მოვაწყოთ! აგერ პირველი მაისი მოდის, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ბევრნი ვართ ყოფილი დემონსტ-



რანტები, მოგვენატრებია კიდევაც.

– ვითომ? – შევვეჭვდი, მაგრამ იმედის ნაპერწკალმა მაინც გაკვესა.

– ერთი შეძახება და... ცოტა-ცოტა ორგანიზაციულ საკითხებს კი დასჭირდება მოგვარება, მაგრამ ამას პარტიები არ დაგვამადლიან, მგონი უკვე სამასს მიაღწია მათმა რიცხვმა და ათიოდე მაინც არ დაგვიდგება თუ რა! სხვას რას გვიკეთებენ?

– ჰო, მაგრამ მათ რა იციან დემონსტრაციები?

– როგორ თუ რა იციან, ესენი ხომ ყოფილი კომუნისტები თუ არა, კომკავშირლები მაინც არიან, თუნდაც პიონერყოფილნი. მერე დაყოფენ კოლონას, თავში უმუშევართა არმია ჩადგება.

– მათ წინამძღოლად ლევან გაჩეჩილაძეს ვირჩევდი, „მიშა მოვდივარ“, თან ხმაც კარგად აქვს დაყენებული.

– ურიგო არ იქნება, შემდეგ ომის ვეტერანები ჩადგებიან რიგში, ესეც დიდი კოლონა გამოვა, მათ უპენსიო პენსიონერებს გამოვაყოლებდი, 40-დან 65 წლის ასაკამდე ქუჩაში გამოყრილთა ლაშქარი მთელ რუსთაველს გადაფარავს.

– სოციალურად დაუცველნი, – აზარტში შევდივარ.

– მათ ორგანიზებას კობა დავითაშვილს მივანდობდი. კუკავა და ძიძიგური დაეხმარებიან და.. შემოყვებიან 90-ლარიანი პენსიონერები, მიშას შეპირებული ასდოლარიანის ლოდინში სულმიხდილნი.

– ანაზარდაკარგულნი არ გამოგრჩეს.

– არა, არ დამვიწყნია, მაგრამ მათი სიჭარბით ვერ დავიკვეხნით, ძალიან ბევრი წავიდა ამ ქვეყნიდან და.

– „გამარჯობათ ქართველებო“, – ეკა ბესელიას მუსიკალურად მჟღერი ხმა არ დავუკარგოთ, იქნებ ტრიბუნასთან დავაყენოთ, მთავრობა მაინც არ იქნება და, – თანდათან ეშხში შევდივარ, ჭიქას ჭიქაზე ვცლი და მისაყოლებელი მავიწყდება.

– მე ვფიქრობ, ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლონა მაინც შალვა ნათელაშვილს გამოყვება, სოციალურად დაუცველნი, მათი ტრანსპარანტებიც, ლოზუნგებიც, პლაკატებიც მრავალფეროვანი იქნება, თუნდაც ერთიან გადასახადზე, ბენზინის გაძვირებაზე, სატელეფონო საუბრების მაღალ ტარიფებზე... რა ვიცი, თავიანთი ტრიბუნით რაც ესენი დარბიან.

– მოიცა, მოიცა, თუ ასე გააგრძელე, ეს დემონსტრაცია ერთ დღეს არ დამთავრდება.

– ვინ გითხრა მერე, ერთ დღეში დამთავრდებაო, ან ახლა შიმშილისგან კუჭგამომხმარი კაცი ბინიდან რომ გამოვა, თავისი დაცარიელებული სახლისკენ მიიხედავს განა? ჩემმა მტერმა უყუროს დამშეული პატარების ცრემლიან თვალებს, თანაც ეს უნდა იყოს ბოლო დემონსტრაციაც, მიტინგიც და სახალხო ბუნტიც...

– შენს პირს შაქარი, მაგრამ...

– არავითარი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს არაბების წინაშე თავს ხომ არ შევირცხვენთ, ჩვენ რომ გამოვალთ, მთელი მსოფლიო მოგვაჩერდება.

**...მე თუ მკითხავთ, გენიალურია, ჯერ ერთი, ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ლამის შეგვჭამეს მიტინგებმა, მეორეც, ხალხს დემონსტრაცია, მსვლელობა, მოძრაობა და მოქმედება მოენატრა, ვის რაში სჭირდება ტრიბუნებიდან ლაყბობა და ქაქანი, ამან რაც მოგვიტანა კი ვნახეთ. მაგალითისთვის მარტო ჰიპოდრომის სამასი ათასიანთა გაბრიყვება კმარა.**

**და კიდევ, დემონსტრაციის მონატრებამ, ვინ იცის, იქნებ იმ 40 თუ 45 ათასი პატიმრის ოჯახის წევრები გამოაფხიზლოს და გააბრაზოს. არ არის გამორიცხული, საზოგადოების სხვა ფენებსაც მოუნდეთ მწყობრი მარშით სიარული, თუნდაც შაშკინ-ძერჟინსკის მანდატურებისგან დამონებული მოსწავლე-მასწავლებლები, მედიცინისა და კულტურის მუშაკები... ბოლოს, შესაძლებელია, პოლიციელებიც და ჯარისკაცებიც შეაწუხოს სინდისმა და მხარში დაუდგნენ თავიანთ მშობლებს, დედებს და ძმებს.**

**ღმერთმა ქნას!**

**გივი ჯახუა**

ინფორმაცია

## ლტოლვილთა სამინისტროს საიტს აფხაზური გვერდი დაემატა

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საიტს (www.mra.gov.ge) აფხაზური გვერდი დაემატა.**

**სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა აფხაზეთის მოსახლეობისთვისაც. საიტზე ინფორმაცია ამჯერად 3 ენაზე – ქართულად, ინგლისურად და აფხაზურად ვრცელდება. ამ ინიციატივის მიზანია, აფხაზურენოვანი მოსახლეობა უკეთ გაეცნოს დევნილთა მდგომარეობას, მათ საჭიროებებს და იმ პროექტებს, რომელიც დევნილი მოსახლეობისთვის ხორციელდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჭადრაკი

# ნანა ძაგნიძე მსოფლიოში მეოთხეა



**დოჰაში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის ბოლო ეტაპის გათამაშება, რომელშიც 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს წრიული სისტემით. ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ქალების მობილიზება შეძლო ნანა ძაგნიძემ, რომელმაც 2006-2008 წლების ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი სიუ იუჰუა დაამარცხა.** საგულისხმოა, რომ ფიდემ პირველი მარტისთვის საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა, რომელშიც ძაგნიძემ 2567 პუნქტით მეშვიდედან მე-4 ადგილზე გადაინაცვლა. ბოლო ორი თვის განმავლობაში მან რუს დებს – ნადეჟდა და ტატიანა კორინცევებს აჯობა, თუმცა თავად უნგრელ იუდით პოლგარს (2686ქ, ინდოელ ჰამფი კონერუს (2607ქ და ჩინელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (2602ქ ჩამორჩება.

ყატარში მე-6 ტურის დარჩენილი პარტიები ასე დამთავრდა: ჰამფი კონერუ – მაია ჩიბურდანიძე 1:0, პია კრამლინგი (შვედეთი) – ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 1:0, მარტა ფიერო (ეკვადორი) – მარი სებაგი (საფრანგეთი) 0:1, ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი) – ელინა დანიელიანი (სომხეთი) 0,5:0,5, ჟუ ჩენი (ყატარი) – ბათჰუიაგ მონგონთუული (მონღოლეთი) 0:1.

**ექვსი ტურის შემდეგ:** დანიელიანი – 5,5, კრამლინგი, სებაგი – 4-4, კონერუ – 3,5, ძაგნიძე, ფიერო – 3-3, ჩიბურდანიძე, მონგონთუული – 2,5-2,5, ჟუ ჩენი, სიუ იუჰუა, სტეფანოვა, მკრტიჩიანი – 2-2 ქულა.

**ტურნირის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.**

**რომან თავაძე**

მძლეოსნობა

# ევროპას მცირე ძალებით შევუტევთ

**მომავალ უქმეებზე პარიზი მძლეოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოდან მხოლოდ ორი სპორტსმენი იასპარეზებს – სტაიერი ენდრიკ ზილბერშტეინი და ბირთვის მკვრელი ბენიკ აბრამიანი.** ორივე სპორტსმენმა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა. ზილბერშტეინმა (ახალციხეძ 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა, ხოლო აბრამიანმა ბირთვი 18,05-მეტრიან ნიშნულს გადააცილა და თბილისის ზამთრის ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგი 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა. დიდუბის მანეჟში კარგად რცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **ქალები.** საოლმე სირაძე (ქუთაისი, 60 მ. რბენაძ, თეა ფაცურია (ფოთი, 60 მ/თ, 200 მ, 400 მძ, გაიანე უსტიანი (ახალციხე, 800 მ, 1500 მძ, გიული დეკანაძე (ვანი, 3000ძ, სოფიო მაჭავარიანი (სიმაღლეზე ხტომაძ, თამარ გელეიშვილი (სიგრძეზე ხტომაძ, თათია პაიკიძე (ვანი, სამმაგიძ, ნათია რიგიშვილი (თიანეთი, ბირთვიძ.

**ვაჟები.** ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი, 60 მძ, დავით ილარიანი (თბილისი, 60 მ/თძ, ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 200 მძ, ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 800 მ, 1500 მძ, ჯეირან ხოფერია (ფოთი, 3000 მძ, ბოლესლავ სხირტლაძე (სიგრძეზე ხტომაძ, ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, სამმაგიძ.



იასპარეზა სიმაღლეზე მხტომელმა ზურაბ გოგოჭურმა, რომელიც 205 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და პირველობაც ხვდა. ასეთივე შედეგი აჩვენა მან ამას წინათ მინსკში ბელარუსის ზამთრის უნივერსიადაზე, რაც მხოლოდ მესამე ადგილისთვის ეყო.

დანარჩენ სახეობებში კვა...

**საერთო გუნდური: I ჯგუფი.** 1. თბილისი (329ქ, 2. ქუთაისი ( 198ქ, 3. ახალციხე ( 176ქ. **II ჯგუფი.** 1. ოზურგეთი (124ქ, 2. ჭიათურა (67ქ, 3. აჭარა (66 ქულაძ.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# კლასიკოსების ვერცხლი და ბრინჯაო



**ბულგარულ ბურგასში ნიკოლა პეტროვის მემორიალში საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც მონაწილეობდა მთავარი მწვრთნელის – ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით. ჩვენმა „კლასიკოსებმა“ შეჯიბრებაზე ერთი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.** მეორე ადგილზე გავიდა ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (74ძ, რომელმაც მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო. თითო შეხვედრა წააგეს და მესამე ადგილებზე გავიდნენ არჩილ თურმანიძე, ანტონ მამაგეიშვილი (ორივე – 66 კგძ, სოსო ჯაბიძე (96ძ და დიმიტრი ჯავახიშვილი (120ძ.

ქართველი ფალავნები დუშეთში ბოლო საწვრთნელ შეკრებას გაივლიან და 2-3 აპრილს დორტმუნდში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

**ლაშა დიდია**

ძიუდო

# უკვე მერამდენედ!

**ბოლო დროს ქართველ ძიუდოისტთა წარუმატებლობებს ისე მივეჩვიეთ, რომ მათგან გამონათებას უკვე აღარც ველით. ცუდია, როცა გულშემატკივარი ასეთი განწყობითაა განმსჭვალული, მაგრამ რა ჩვენი ბრალია:** ფედერაციის მესვეურებმა, მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა ქართული ძიუდო ისე დააყენეს თავდაყირა, რომ სიტუაციის დალაგებას კარგა ხანი დასჭირდება. ამასობაში კარს მოგვადგა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშები და იქ გასამგზავრებელი საგზურებიც, შესაძლოა, სანატრელიც გაგვიხდეს, თორემ მედლებს ვინღა ჩივის. ამის თქმის საფუძველს კიდევ ერთი ჩაფლავებული ტურნირი გვაძლევს. ვარშავის მსოფლიო თასზე, მართალია, საქართველოს ნაკრებმა სათადარიგო შემადგენლობით იასპარეზა (არც ძირითადებს მოუწყვეტიათ ვარსკვლავები სხვა პაექრობებშიძ, მაგრამ სავალალო ის არის,



რომ 8 ფალავნიდან ორი შეხვედრის მოგება მხოლოდ ორმა სპორტსმენმა მოახერხა, დანარჩენები კი მერვედფინალამდე ჩამოშორდნენ კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვარშავის ტატამზე ფავორიტთა უმრავლესობამ მეორე შემადგენლობით იასპარეზა, მართლაც ცუდადაა ჩვენი ძიუდოს საქმე. ზაიზენბახერს პირობის შესრულება გაუჭირდება – წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად ერთი ოქროსმედალოსანი გვეყოლებაო. ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## კალათბურთის მსაჯი დაშავდა



**ამერიკაში ნბა-ს გათამაშებაზე „სან-ანტონიო სპერსისა“ და „მემფის გრიზლის“ მატჩის დროს მსაჯმა ტომი ნუნიესმა ფეხის ტრავმა მიიღო. შეხვედრის პირველი მეოთხედის დროს „მემფისის“ კალათბურთელმა ტონი ალენმა მსაჯი წააქცია. ნუნიესი მოედანზე დაეცა და მხოლოდ „სან-ანტონიოს“ მწვრთნელების დახმარებით წამოდგა.**

ინციდენტი მატჩის მერვე წუთზე მოხდა. წამოდგომის შემდეგ ტომ ნუნიესმა მხოლოდ მატჩის პირველი მეოთხედის ბოლომდე იმსაჯა. შემდეგ კი მუშაობის გაგრძელება ვერ შეძლო. თუ რამდენად სერიოზულია მსაჯის ტრავმა, ცნობილი არაა.

მატჩი „სან-ანტონიოს“ გამარჯვებით დამთავრდა 95:88. ახლა ეს გუნდი **ნბა**-ს ლიდერია, მან 59 მატჩში 49 გამარჯვება მოიპოვა. მხოლოდ ერთი გამარჯვება სჭირდება, რათა გაიმეოროს „ლოს-ანჟელეს ლეიკერსის“ წარმატება. მან 12 სეზონში ზედიზედ ( 1979 წლიდან 1991 წლამდეძ მოიგო რეგულარული პირველობის 50 მატჩი.

## უსამართლოდ მიიჩნია

**რუსეთში 26 თებერვალს გაიმართა 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის სიმბოლო-თილისმების არჩევანი. გაიმარჯვეს ჯიქმა, თეთრმა ბელმა და კურდღელმა, პარალიმპიური თამაშების სიმბოლოები კი გახდნენ ლუჩაკი და ფიფქია. ასეთმა არჩევანმა გულშემატკივრებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.**



რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ეს არჩევნები არასამართლიანად მიიჩნია. ასეთი აზრი მან გამოთქვა ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების კომისიის სხდომაზე. პრეზიდენტმა თქვა, რომ უნივერსალური ელექტრონული რუკის დიზაინის არჩევნები „უნდა იყოს გაცილებით სამართლიანი, ვიდრე ოლიმპიადის სიმბოლოების განხილვა“.

მედვედევის თქმით, ოლიმპიური თილისმების არჩევნებისას დისონანსი შეიქმნა ტელევიზორითა და ინტერნეტით ხმის მიცემას შორის. მან იმედი გამოთქვა, რომ ასეთი რამ არ მოხდება რუკის დიზაინის არჩევის დროსო.

ცნობილი გახდა, რომ ჯიქს მხარს უჭერდა პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, მედვედევი კი თეთრი ბელის მომხრე იყო. არჩევნებში მონაწილეობდა 11 სიმბოლო.

ჯიქმა ხმების 28 პროცენტი მიიღო, თეთრმა ბელმა – 18, კურდღელმა – 16, დელფინმა – 12 და ა. შ. რატომღაც სიიდან ამოიღეს თოვლის პაპა, რომელსაც, თურმე, მხარს უჭერდა რუსეთელების უმრავლესობა.

## მოთხილამურეზე გაცვალა



**სახელგანთქმულმა გერმანელმა მოდელმა, ტელეწამყვანმა და მსახიობმა ალენა გერბერმა, თავის დროზე ცნობილი რომ იყო კრივში მსოფლიოს ჩემპიონთან, უკრაინელ ვლადიმერ კლიჩკოსთან რომანით, ახალი სიყვარული მოძებნა – ტრამპლინიდან თხილამურებით ცნობილი მხტომელი სვენ ჰანევალდი.**

როგორც აღმოჩნდა, ლამაზმანი მთელი წელი ხვდებოდა უმცროს კლიჩკოს, თუმცა მოკრივე ამ ამბავს არ ახმაურებდა. ახლა კი თურმე უკრაინელმა ალენა გაცვალა ჰაიდენ პანატიერზე. გაზეთებიდან ეს ამბავი რომ შეიტყო, ალენა გაცეცხლდა, რადგან თავადაც მალავდა მოკრივესთან ურთიერთობას, ბოლოს კი მაინც აპატია, წაგებული არ დარჩენილა – სვენ ჰანევალდი ხომ ოლიმპიური ჩემპიონი და ორგზის მსოფლიო ჩემპიონია. თანაც ერთად-ერთი სპორტსმენია, რომელმაც ერთ სეზონში ოთხი ტრამპლინის ტურნეში ყველა ეტაპზე გაიმარჯვა.

**◎ გიხაროდეს!**

# პატარა ქართველის ახალი წარმატება



**ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება „საქართველოს რესპუბლიკის“ 2009 წლის 16 მაისის პუბლიკაცია იმის თაობაზე, რომ ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის II კლასის მოსწავლემ ზურაბ (ზუკა) ცირეკიძემ იტალიაში, მე-4 საერთაშორისო კონკურსში — „მოცარტი“, პირველი ადგილი დაიკავა — ბრწყინვალედ შეასრულა გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის „მენუეტი“, დიდი ნორვეგიელი კომპოზიტორის ედვარდ გრიგის „ვალსი“ და გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის დიმიტრი კაბალევსკის „ტოკატინა“.**

და აი, თითქმის ორი წლის შემდეგ, ახალი სასიხარულო ცნობა, ამჯერად, პარიზიდან! **21-22 თებერვალს** საფრანგეთის დედაქალაქში ჩატარდა სახელგანთქმული რუსი კომპოზიტორისა და პიანისტის **ალექსანდრე სკრიაბინის** სახელობის საერთაშორისო კონკურსი და პატარა ქართველმა პიანისტმა **ზუკა ცირეკიძემ მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა,** რაც უდაოდ დიდი წარმატებაა! და, ეს მოხდა იმ პირობებში, როცა საერთაშორისო ჟიურის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ხელმძღვანელობდა, მის გარდა ჟიურიში კიდევ რუსეთის ფედერაციის 4(!) წარმომადგენელი იყო (სულ ჟიურიში 7 მუსიკოსი იყო!) და მონაწილეთა ნახევარზე მეტი (8 პიანისტი!) ასევე რუსეთს წარმოადგენდნენ! ზუკას მიერ შესრულებულმა პეტრე ჩაიკოვსკის **„არაბესკამ“** აღაფრთოვანა სპეციალისტები და დამსწრე საზოგადოება, თვით ჟიურის თავმჯდომარე მოსკოველი ვოსკრესენსკი. პირველ-მეორე ადგილებზე კი, რა გასაკვირია, 12 წლის რუსები გავიდნენ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის № 1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის IV კლასის 9 წლის (ზუკა 23 მარტს ათი წლის ხდება!) წარჩინებულ მოსწავლეს, ნორჩ ვირტუოზ პიანისტს (პედაგოგი ესმა ქირია) წინ ახალი გამოცდა ელის — აპრილში თბილისში მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი გაიმართება და იქ ზუკა ცირეკიძე ახალი ნაწარმოებებით წარსდგება!

რა თქმა უნდა, ამჯერადაც გამარჯვებას ველით!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**განცხადება**

## აქტივების რეალიზაციის შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს აქტივების საჯარო რეალიზაციას:**

1. სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ და სს „შავი ზღვის აუქციონის ბანკის“ კრედიტორულ მოთხოვნებზე (სასესხო დავალიანებაზე). იყიდება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიმართ მოსათხოვი თანხის 30%-ში.

2. ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები) შეფასებული ღირებულების 30 პროცენტში:

●ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ახალსოფელი, მიწის ნაკვეთი 502 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (მშენებარე) 398.80 კვ.მ., ფასი-21300 ლარი.

●ქობულეთის რ-ნი, სოფ. ქვემო კვირიკე, მიწის ნაკვეთი — 5000 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი) ფართი — 465 კვ.მ., ფასი- 31350 ლარი.

3. სატელეფონო სადგური — Alkatel 1000 C12 (4 000 აბონენტზე), ფასი — 1545 ლარი (შეფასებული ღირებულების 30%).

4. ბანკის საკუთრებაში არსებული სს „მშენებლის“, სს „ბათუმსპეცმონტაჟის“, სს „უქსოვადი ქსოვილების“, სს „ინტურისტის“, სს „ქობულეთის ჩაის“, სს „სტამბის“, სს“აჭარწიგნის“ და სს „ბათუმის ტყავის ქარხნის“ აქციებს (ღირებულების 30%).

5. იტალიური წარმოების სირაქლემების გამოსაზრდელი გადასატანი ბრუდერი 6 ცალი, ერთეულის ფასი 871 ლარი (შეფასებული ღირებულების 30%).

6. იტალიური წარმოების სირაქლემის კვერცხის სპეციალიზებული ინკუბატორი — 3 ცალი, ერთეული ფასი — 1293 ლარი(შეფასებული ღირებულების 30%).

**მისამართი: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. №27.**
**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელ; 888-222 (7-60-03). 899-51-13-82.**

**სალიკვიდაციო კომისია**
**ლიკვიდატორი რ. ცაციაშვილი**

**განცხადება**

## საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ საუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს ბანკის უძრავ ქონებაზე (600 კვ/მ მიწის ნაკვეთი, 2-სართულიანი საცხოვრებელი ბინა 291 კვ/მ., მდებარე ქობულეთის რ-ნი, სოფელი წყავროკა, საკადასტრო კოდი: №20.33.03.031).**

აუქციონი გაიმართება 2011 წლის 11 მარტს 12 საათზე ქ.ბათუმში, მ. აბაშიძის ქ. №27-ში.

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ოფისში, ქ. ბათუმი მ.აბაშიძის ქ. №27. ტელ; 7-60-03. 899-51-13-82.**

**საუქციონო კომისია**
**ლიკვიდატორი რ. ცაციაშვილი**

**კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის თანამშრომელს ლია ჯვარშეიშვილს დედის**
**ნათელა ჯვარშეიშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

**მეუღლე ეკა, შვილები ქეთი, გიორგი, და მადონა, სიდედრი ოლიკო, სიმამრი ჯემალ ზამბახიძეები, ცოლისდა ლელა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**თამაზ ცირეკიძე**
**პანაშვიდი 3, 4 III, , მისამართი: შალვა დადიანის 7, დაკრძალვა 5 III, 14 სთ. გამოსვენება წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან (ველოტრეკის მიმდებარე ტერიტორია).**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**99-62-77; 899 32-85-76.**

**◎ სასჯელაღსრულება**

# „მოწინავეთა“ შორის

**უფრო სტრუქტურების გათვლებით 100 სულ მოსახლეზე პატიმართა საერთო რაოდენობით ზებერ კონტინენტზე მეორე ადგილზე ვართ. ჯერ არავის დაუთვლია, მაგრამ პრობაციონერთა რაოდენობითაც „მოწინავეთა“ შორის უნდა ვიყოთ.**

სასჯელაღსრულების სამინისტროს პრობაციის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილის გიორგი არსოშვილის განცხადებით საქართველოში 35 750 პრობაციონერია. მათ შორის 92 პროცენტი მამაკაცია, 1,7 — არასრულწლოვანი, დანარჩენი — ქალები. პრობაციონერები ის კონტინგენტია, რომელთაც სხვადასხვა დანაშაულებისათვის მოიხადეს სასჯელის გარკვეული ვადა (ან სრულიად, ვადამდე განთავისუფლებულებს, მათ ვისაც ამნისტია ან შეწყალება შეეხოთ. ისინი დანიშნული წლების განმავლობაში ვალდებული არიან გარკვეულ დღეებში მივიდნენ ადგილობრივი პრობაციის ეროვნული ბიუროს განყოფილებებში და დაფიქსირდნენ, საქართველოში ასეთი 66 განყოფილებაა. დაფიქსირების პროცესი გამარტივებულია — აცხადებს არსოშვილი, — პრობაციონერთა აღრიცხვიანობა ხორციელდება დაქტილოსკოპიური მეთოდით.



ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე განმარტავს, რომ აღდგენილია ყოფილ პატიმართა მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი იძულებითი დასაქმების მექანიზმიც. დღეს ბიუროში ამ კატეგორიის 184 პრობაციონისტია. ყველაზე მეტი აჭარიდანაა. მოხერხდა მათი დასაქმება გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებზე. ისინი ისეთივე ანაზღაურებას იღებენ, როგორსაც ადგილზე მომუშავენი. ბიუროს იმერეთში 20 პრობაციონერი დაუსაქმებია. ისინი „რიონჰესზე“ მუშაობით თვეში 800 ლარს იღებენ.

სპეციალისტები სკეპტიკურად უყურებენ ჩინოსანის ამგვარ განცხადებას და იმედს მომავალში უფრო მეტი ხალხის დასაქმების შესახებ, რადგან თვლიან, რომ ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობის პირობებში, როდესაც კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელები ცდილობენ სამსახურში სანდო პირები მიიღონ, იძულებით დასაქმებულთა შრომის გამოყენებას ხალისით ნამდვილად არ დათანხმდებიან.

სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შეუძენია სპეციალური სამაჯურები, რომელთა საშუალებითაც მოხდება პრობაციონერის გადაადგილების გაკონტროლება. სამაჯურში ჩამონტაჟდა ბიუროს რომელიმე მობილურის ბარათი. შემოიხაზება ის ასე, რომელშიც პრობაციონერი მუშაობს. თუ სამაჯურის „პატრონი“ გასცდება თავის სამუშაო ტერიტორიას, სიგნალი მაშინვე საკონტროლო პუნქტს გადაეცემა. დაიწყება მისი ძებნა. დამრღვევს დააკავებენ და სამუშაო ადგილზე დააბრუნებენ. ეს მას დარღვევად ჩაეთვლება. მსგავსის განმეორების შემთხვევაში მის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საქმე აღიძრება.

მსგავს პირობებში იქნებიან ციხე-კოლონიებიდან ხანმოკლე შვებულებებით შინ გაშვებულნიც.

ამგვარი სამაჯურის მოხსნა შეუძლებელი იქნება. არსოშვილი დარწმუნებულია, რომ ამის გამო არავითარ დარღვევებსა და გაუგებრობებს ადგილი არ ექნება.

პრობაციონერების პატიმრებზე მეტი რაოდენობა პროკურატურა-სასამართლოს დიდი დამსახურებაა. საპროცესო გარიგებების შემდეგ, ყველა მათგანს (ვინც მცირე ვადით მაინც არ მიდის საპყრობილეში) პირობით სასჯელებს ურიგებენ და პრობაციონერისტთა კონტინგენტს უმატებენ.

როგორც თავის გამოსვლაში ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, საპროცესო გარიგებებიდან შარშან ბიუჯეტში 30 მილიონი შევიდა. ეს ციფრი ყოველ წელს მატულობს. თუ წელსაც იგივე ტენდენცია გაგრძელდა (და აუცილებლად გაგრძელდება, სახელმწიფო ხაზინა ხომ ცარიელია) ბიუჯეტთან ერთად შევსებას მიიღებს პრობაციის ეროვნული ბიუროც.

**ზაზა ბილიხოძე**

**განცხადება**

## აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი“ 2011 წლის 1 მარტიდან აცხადებს აუქციონს 320 ტონა მეორადი რელსის (R-50, R-60) რეალიზაციის შესახებ.**

1 ტონა მეორადი რელსის საწყისი საუქციონო ფასი შეადგენს 260 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბ“ (საერთო საწყისი ღირებულების 83 200 დოლარი დღგ-ს გარეშე, 20 პროცენტი — 16640 დოლარი (ეკვივალენტი ლარებში) დღგ-ს გარეშე), შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი“, ანგარიშის ნომერი: 340698102000103300000.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10.00-დან 15.00 საათამდე (ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული).

აუქციონი გაიმართება 2011 წლის 16 მარტს 15 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

**აუქციონში მონაწილეობისთვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

დამატებითი ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ტელ. 65-10-34, 877 55-10-34, 877 43-47-42.

**სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი**
**სატენდერო და საუქციონო კომისია.**

დაიჯესტი

# „კაჭარას“ წლის გამოცდა

**ისლანდიაში ვულკანმა ეიაფიალაიეკიულის ამოფრქვევა, რომელმაც რამდენიმე კვირით მთელი ევროპის ცხოვრების რიტმი შეცვალა, ზუსტად ერთი წლის წინათ, მარტის მიწურულს დაიწყო, თუმცა მაშინ ამისთვის მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. არადა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ტყუილადაც. ისლანდიური ვულკანი სამი კრატერიდან გადმოიფრქვეოდა. ეს კრატერები კონტრასტულად გამოვლინდნენ სითბურ სხივებში გადაღებულ ფოტოზე და, როგორც ხედავთ, რაღაც არამიწიერი, კოშმარული სახის მსგავსი გამოსახულება შექმნეს.**



უნდა ითქვას, რომ ნათელმხილველები და ასტროლოგები მოვლენათა ასეთი განვითარების თაობაზე ადრევე ლაპარაკობდნენ. ცნობილმა წინასწარმეტყველმა **ედგარ კეისმა სიზმარში ნახა, რომ XXI საუკუნის პირველ ათ წელიწადში ჩრდილოეთში უდიდესი გეოლოგიური კატაკლიზმი მოხდება, რის შედეგად ვულკანი აფეთქდება, მზის შუქი მოიკლებს, ფერფლი კი ხალხს თვალებს აუწვავს.** თითქმის ასეთივე იყო ფრანგი მარი დიუვალის წინასწარმეტყველებაც. მისი თქმით, 2010 წელში სამი პლანეტა – იუპიტერი, სატურნი და ურანი, რომლებიც გავლენას ახდენენ გლობალურ მოვლენებზე, ხან შევლენ, ხან გამოვლენ ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშანში, რითაც დამანგრეველ კონფიგურაციებს, კვადრატებსა და ოპოზიციებს შექმნიან. ეს „ფორიაქი“ დედამიწაზე მკვეთრად შეცვლის საერთო ენერგეტიკას, რაც უშუალოდ აისახება მის წიაღზე.

ქვეყნიერების მომავალი დასასრულის მოახლოების პირველ ნიშნებს კი ვედური ასტროლოგიის სპეციალისტი, მსოფლიო ასტროლოგიისა და მეტაინფორმაციის აკადემიის პრეზიდენტი **რაო მაჰარაჯა** ასე ხსნის: – 2012 წელს ევროპის, აზიისა და ამერიკის დიდი ნაწილი როგორც ტექნოლოგიური, ასევე ბუნებრივი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. ამჟამად მოსამზადებელი პერიოდი მიმდინარეობს. ვედურ ასტროლოგიაში იგულისხმება მთვარის წელიწადი, ანუ აპრილიდან აპრილამდე დრო. **2007 წლის აპრილიდან 2009 წლის აპრილამდე პერიოდი კაცობრიობის უმეტესი ნაწილისთვის ბოლო შედარებით მშვიდი ხანა იყო, რომლის შემდეგ ჩვენ მომდევნო სამი ნეგატიური წლის ეპოქაში შევედით, რომელიც მთელ მსოფლიოს შეეხება.** 2000 წლის 2 აპრილიდან 2010 წლის 1 აპრილამდე განვლილი „ვიროდჰის“ წელი საერთაშორისო კონფლიქტების ოდენობის ზრდით, ტერაქტებითა და სამხედრო დაპირისპირებებით იყო აღსავსე. მართლაც, არეულობა იყო უკრაინაში, საქართველოში, ყირგიზეთში, საბერძნეთში, მოსკოვში ტერაქტი განხორციელდა. **2010 წლის 1 აპრილს კი „ვიქრიტის“ წელი დადგა, რომელსაც ბუნებაში დისბალანსი მოყვება, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწის, წყლის, ცეცხლისა და ჰაერის სტიქიები შესაძლოა წონასწორობიდან გამოვიდნენ.**

**მიწის სტიქია** დიდ მიწისძვრებზეა პასუხისმგებელი, **წყლის სტიქია** – წყალდიდობებზე, **ცეცხლის სტიქია** შესაძლოა ხანძრებთან და აფეთქებებთან დაკავშირებულ მზისა და რადიაციის პრობლემებთან იყოს დაკავშირებული, ამასთან, წონასწორობის მდგომარეობიდან გამოსული **ჰაერის სტიქია** შესაძლოა ძლიერი ქარების, ქარიშხლების, ქარბორბალების მიზეზი გახდეს.

შემდგომ, **2011 წლის 2 აპრილიდან 2012 წლის 1 აპრილამდე, „კაჭარა“ მთვარის წელი დაიწყება, რომელმაც შეიძლება მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს.** 2012 წელს შედგება იუპიტერისა და სატურნის, აგრეთვე მზისა და მარსის ნეგატიური კომბინაციები, რასაც გლობალური კატასტროფა მოყვება, რომელიც მთელი კაცობრიობისთვის სერიოზულ გამოცდად იქცევა.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**



ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

- ჰარისონი, ჯონსონი, რუზველტი და ბუში – ამერიკელებს ორ-ორჯერ ჰყავდათ ამ გვარების პრეზიდენტები.
- 1829 წლის ოქტომბერში გაიმართა პირველი და უკანასკნელი შეჯიბრება ორთქლმავლებს შორის. გამარჯვების შემდეგ ექსპლუატაციაში შევიდა სტეფენსონის „რაკეტა“.
- 1872-1911 წლებში ამაზონის მოსახლეობის რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა. მიზეზი კაუჩუკის ციებ-ცხელება იყო. კაუჩუკის ბუმმა მაძიებლები მიიზიდა და კარგი პირობების გამო უმეტესობა საცხოვრებლად იქ დარჩა.
- 1812 წელს გაიზარდა რუსული ასიგნაციების გამოშვება, მაგრამ ინფლაცია ნაპოლეონის დაბეჭდილმა ყალბმა რუსულმა ფულმა გამოიწვია.
- ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, არსებობს საზოგადოება „ჯიმ სმიტი“, რომლის ყველა ექვსივე წევრი ჯიმ სმიტია. ყოველწლიურად საზოგადოება კონფერენციას აწყობს ლასვეგასში, სასტუმრო „ალადინ-ოტელში“.



## უხელო მოდელი

**მართალია, 35 წლის ბელგიელი ტანია კიევიტცი ინვალიდია, მიუხედავად ამისა, ამ მომხიბლავმა ქერათმიანმა ქალმა ცხოვრებაში საკუთარ ადგილს მიაგნო და თავსაც ბედნიერად გრძნობს.**

მას მარცხენა ხელი იდაყვში მოკვეთილი აქვს, მაგრამ ფიზიკური ნაკლის მიუხედავად, ტანიას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. ცოტა ხნის წინათ მათ რიცხვმა მნიშვნელოვნად იმატა – ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბელგიასა და საფრანგეთში სოციალური კამპანია „CAP-48“ დაიწყო, რომლის მიზანია ინვალიდებისადმი საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა. ტანიას დამსახურებაა ის, რომ დასახული კეთილშობილური მიზანი ასი პროცენტით მიღწეულ იქნა – ამაში დიდი როლი შეასრულა მისმა პლაკატმა, რომელზეც იგი აზღუდშია გადაღებული. აქციის ორგანიზატორებს ათასობით კაცი ურეკავს და მადმუაზელ ტანიას ტელეფონის ნომერს სთხოვს. ინვალიდების დასახმარებლად კი უკვე 4 მილიონი ევრო შეაგროვეს.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7642 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3923 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

რაბინოვიჩი და კიდევ ერთი ბიზნესმენი სასაფლაოზე მივიდნენ თავიანთი ყოფილი კომპანიონის საფლავის მოსანახულებლად. ეძებეს, ეძებეს, მაგრამ ვერაფრით ვერ მიაგნეს. უცებ რაბინოვიჩმა თავში ხელი შემოირტყა:

– მისმინე, ძმაო, იგი საფლავს ნაღდად ცოლის სახელზე გააფორმებდა!

* * *

დალია ტიპმა ერთი კათხა ლუდი. ცოლმა სკანდალი ატეხა.

მეორე დღეს მან ერთი ყუთი ლუდი გამოყლურწა. ცოლმა ისევ სკანდალი ატეხა.

დასკვნა: თუ ცოლი მაინც იჩხუბებს, რატომ უნდა დაიკლო სასმელი?



განცხადება გამოვაქვეყნე – ვეძებ ცხოვრების მეგობარ ქალს-მეთქი.

– მერე?

– მეორე დღესვე ოცი კაცი გამომეხმაურა – ჩემი ცოლი წაიყვანეო.

* * *

– გუშინ სარას ქმრის მოწამვლა გადაუწყვეტია, მაგრამ საწამლავი და პურგენი ერთად ჩაუყრია ჭიქაში..

– მერე?

– რა მერე. თითქოს უნდა მომკვდარიყო, მაგრამ საამისოდ ვერ იცლის...

* * *

– მიხო, გამოცანას გეტყვი, თუ გამოიცნობ: ინგლისში დაიბადა, ბრაზილიაში გაიზარდა, საქართველოში გარდაიცვალა. რა არის?

– ???

– ფეხბურთი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.